

# ქვეყნის გზები



საქართველოს  
მწიკრალთა  
კავშირის  
გაზეთი  
№2 (279)

15 თებერვალი-  
15 მარტი  
2020

ფასი 1 ლარი

გამოცემის  
თემატიკა

## რევაზ მიშველაძე



## რევაზ მიშველაძის სოციალური სიტყვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში

2020 წლის 21 იანვარი

თქვენ ხომ გიკვირთ და გიკვირთ, მაგრამ მე უფრო მიკვირს ჩემი ოთხმოცი წელი.

იმ წინააღმდეგობის და სიძნელეების გადაძვინების, რაც მე ჩემდა წილად განმიმზადა წუთისოფელმა, მე ოთხმოცი წელი არ უნდა შემსრულდებოდა.

მაინც რა ასეთი მეხთატეხა დამატყდა თავს?

ამაზე პასუხი ერთი წინადადებათ ასე გამოითქმის.

ისე ვიცხოვრე, როგორც საქართველომ იცხოვრა.

1989 წელს საქართველოში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე ჩამოვიდა. მწერლებთან შეხვედრა მოინდომა. არც ვაცეცხე და არც ვაცხელებე, პირდაპირ ვუთხარი: ბატონო ედუარდ, იქნებ მიაღწიოთ ამ გამოგონილი ავტონომიების გაუქმებას. ხომ იცით, ეს სამი ავტონომია საქართველოში ჩამონტაჟებული შენელებული მოქმედების ბომბები-მეთქი. სახეზე წამოჭარხლდა.

ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ კარებზე ხელყუმბარა ჩამომიკიდეს და სასწაულებრივად გადავრჩი.

1993 წელს რუსეთ-საქართველოს ომში ერთადერთი შვილი დამეღუპა.

2001 წელს მწერალთა კავშირიდან გამრიცხეს ისევ და ისევ შევარდნაძის ხელისუფლების კრიტიკის გამო.

სწორედ ჩემმა თაობამ მოუპოვა საქართველოს დამოუკიდებლობა და მიიღო დამოუკიდებლობის.

როგორ თუ საქართველოს დამოუკიდებლობა მოუპოვეთ, 2006 წელს საქართველოს გონებასუსტმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან ყველა

ეროვნულად მოაზროვნე პროფესორი გამოგვყარა.

ამის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლება დაემხო, მაგრამ განათლების არცერთ მინისტრს აზრად არ მოსვლია უნივერსიტეტიდან დევნილი უკან დაებრუნებინა.

2007 წლის 21 აგვისტოს ეროვნული ფენომენის მტერმა პრეზიდენტმა საქართველოს მწერალთა კავშირის ზონდერბრიგადა შემოუსია, სახელოვან მწერალთა მემორიალური ნივთები ქუჩაში მოისროლა და შენობა ოკუპირებულჰყო.

მწერალთა კუთვნილი შენობის ოკუპაცია დღემდე გრძელდება, ხოლო მწერლობისადმი ხელისუფლების გულგრილობა იქამდე მივიდა, რომ 2017 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ავადსახსენებელმა გიორგი კვიციანიშვილმა უარი თქვა ჩვენი ეროვნული სიამაყის, ყველაზე დიდი ქართველის - შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის გამართვაზე.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თქვენმა მონამორჩილმა უარი თქვა ოპერის თეატრში 80 წლის იუბილის ჩატარებაზე.

რაც შეეხება იმ გარემოებას, თუ რატომ ვდგავარ ახლა მე აქ, თქვენს წინაშე. უნდა გითხრათ, რომ ეს იუბილე კი არ არის, არამედ მეგობართა ვინრო წრესთან შეხვედრაა, რასაც მე წინ ვერ აღვუდექი.

მაინც რითაა განსაკუთრებული ოთხმოცი წლის ასაკი, მეგობრებო? ერთი მთავარი რამით.

ყოველდღიური ფუსფუსის მიღმა, მატარებელს ჩამორჩენილი კაცივით მი-და-მო რომ ვაწყდები, ხშირად მემართება მონატრების გარინდება.

ამას მარტოდენ განვილი დღეთა ნოსტალგია როდი ჰქვია.

ერთბაშად მოვარდება ჩემთან ჩავლილი საქართველო.

რუსთაველზე ვდგავარ და ცისფრად განათებულ პარადს ვესწრები. მოდიან ჩემთვის ძვირფასი აჩრდილები.

აღამიანები, ვის ამაგსაც ვერასოდეს დავივინწყებ.

კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, ლევან სანიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, ჭაბუა ამირეჯიბი...

რომელი ერთი ჩამოვთვალო.

აქედან ჩემი პირადი მეგობრები იყვნენ: შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე, ზაურ ბოლქვაძე, მორის ფოცხიშვილი, გურამ ფანჯიკიძე, ამირან შალიკაშვილი, სოსო ბუხაიძე და გივი გამსახურდია. ამჯერად მხოლოდ წასულებზე მოგახსენებ.

ღირსების დაცვის, ვაჟკაცობის, მაღალი ზნეობის, მამულისადმი უანგარო სამსახურის მაგალითს იძლეოდნენ ეს ზნეკეთილი ადამიანები.

უეცრად რაღაც შემაზანზარებს და ერთბაშად დავბრუნდები ამ მატყუარა სიცხადეში.

სიცხადეში, სადაც კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიღაც ტურა საშინელი ცილისწამებით მოიხსენიებს;

სადაც პოლიტიკოსთა ურთიერთობის ერთადერთ ფორმად დედის გინება და ცილისწამება ქცეულა;

სადაც საწყალი კაცის საშველი ოდენ იმედის თითის ამაო ლოკვაა;

სადაც ივანე ჯავახიშვილის სავარძელში, დედა-უნივერსიტეტის რექტორად პლაგიატი ჟორა სიმონგულაოვი ზის;

სადაც ყველაფერს გაპატიებენ, ნიჭის გარდა...

მაგრამ... არსებობს ეს მაგიური სიტყვა „მაგრამ“, ჯერ კიდევ რომ მაძლებინებს ამ ოღრო-წოღრო და უსწორმასწორო წუთისოფელში.

ეს გახლავთ უპირველეს ყოვლისა ის „ამოუხსნელი ფორიაქი“, შუალამისას რომ წამოგაგდებს და მაგიდასთან დაგვამს.

ნიადაგ მეჩვენება, რომ რაღაც დამრჩა სათქმელი და ყურში ჩამძახის მოუსვენრობის ანგელოზი - „შენს სათქმელს სხვა ვერავინ იტყვის“.

განა არ ვიცი, რომ ამდენი წაჯექ-უკუჯექობით, ამდენი ტყუილი

დაპირებით და ძალაუფლების შენარჩუნების კირთებით ხელისუფლებას ყურის ბარბანი გაუსქელდა და წყლის ნაყვავა ერთი ქართველი მწერლის მიერ ზარების რეკვა, მაგრამ ჩემსას მაინც არ ვიშლი, ყურადღებას არ ვაქცევ, კომფორმისტ კეთილისმსურველთა შეგონებას: „კარგი, რეზო, გეყოფა, დაცხრი, ნუ დაგვალაღ, აღარ მოვიდა შენი მოსაწონი მთავრობა“?

არა, არ მოვიდა. იცით, რა შემომამბრუნებს სიცოცხლისკენ მწერლობისადმი ტოტალური გაგულგრილების ამ საუკუნეში?

ავტობუსში სრულიად უცნობი რომ დაგემგზავრება და გკითხავს, ბოდიში, ბატონო, თქვენ მიშველაძე ხომ არ ბრძანდებითო და როცა დასტურის ნიშნად თავს დაუქნევ, შენს მიერ ლამის დავინწყებული ნოველის შინაარსს რომ მოგიყვება;

სამსახურიდან მოსულს მაგიდაზე რუსთავის კოლონიიდან გამოგზავნილი ხუთი პატიმრის ხელმოწერილი ბარათი რომ დაგხვდება: ორად ორი წიგნი გვაქვს თქვენი, ორივე ხშირი კითხვისგან თითქმის დაჩონჩილია, იქნებ არ დაიზაროთ და თქვენი ახალი წიგნები გამოგვიგზავნოთ.

არ დაიჯერებთ და ყოველგვარ ჯილდოზე, ყოველგვარ ჩინტემლაკებზე უკეთესი ჩემთვის ის გრძნობა გახლავთ, ზემოთდასახელებული შეხვედრები და წერილები რომ მანიჭებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოელი მტერი ფასკუნჯივით ყლაპავს ჩვენს მინა-წყალს და მავთულხლართები კარზე მოგვდგომია, მიუხედავად იმისა, რომ ევროპა და ამერიკა ღარიბი ნათესავით გვიყურებენ და ჩვენს საშველად თითს-თითზე არ აკარებენ, მაინც ვყვი თავნასაგდები მამალივით:

საქართველო არ გათავდება! საქართველო არ დაიღვევა!

ქვეყანას, რომელსაც რუსთაველი ჰყავს, გაქრობა არ უნერია!

„მაგრად დექო!“

### ჩვენს მიხედვით - 80

ბატონო რევაზ, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დღეგრძელობას, თქვენი მთელი მონაგართ, შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების, თქვენი სანუკვარი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ბედნიერია ის ერი, ვისაც თქვენისთანა მამულიშვილი ჰყავს. თქვენ საკუთარი შვილი შესწირეთ სამშობლოს, მარტო ეს რად ღირს, ეს ხომ ფასდაუდებელი სამსახურია.

პირფერობაში არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ ნამდვილად დიდი პიროვნება ბრძანდებით - დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, მტერთან შემტევი და მოყვარესთან - მოსიყვარულე ძმა და მეგობარი. ამაში უფრო ვრწმუნდები, როცა თქვენს თხზულებებს ვკითხულობ. სწორედ თქვენისთანა ქართველი მყავდა მხედველობაში, როცა ამ სტრიქონებს ვწერდი მოსკოვში, 1996 წლის 12 თებერვალს:

ვინც ხალხის ტკივილს მოეცხება  
მალამოსავით,  
საკუთარ ფესვებს დაეყრება ნოყიერ  
ფერფლად,  
თუნდაც იცოცხლოს სულ ცოტა  
ხანს, ყაყჩოსავით,  
მაგრამ ალალი აქვს გულისფეთქვა.

მწამს მომავალი არ დაივინყებს,  
ვერც ჭირვეული ანმყო გათელავს,  
გვერდს დაუმშვენებს მამულიშვილებს,  
მუდამ დარჩება ნამდვილ ქართველად.

### ბატონ ჩვენს მიხედვით

შენ ერის დიდი საგანძური ხარ,  
შენი ნიჭით და შენი ქმედებით,  
სწორედ ამიტომ უყვარხარ ყველას  
და ერისკაცად ეიმედები.

ხარ საამაყო დიდი ქართველი,  
შენისთანები ეპოქას ქმნიან...  
კურთხეულ იყოს შენი სახელი,  
რომელსაც პროზის ლეგენდა ჰქვია.

ხარ თავმდაბლობით გამორჩეული  
და ყველას თბილი ღიმილით ხვდები,  
სწორედ ამიტომ გიბოძა ღმერთმა  
ცად ასაფრენი არწივის ფრთები.

წარმავალია წუთისოფელი  
და არის თვალის ერთი გახელა,  
შენ საკუთარ თავს ძეგლი დაუდგი,  
მას უკვდავება ჰქვია სახელად.

ასწელს იცოცხლე ამ შემართებით,  
ქართული პროზის დიდო სარდალო,  
ქვეყნად ღირსებით გამორჩეულო,  
დიდო რაინდო, კაცო მართალო!

ეთერ ზარიძე

80 წელი სამყაროსთვის ერთი ამოსუნთქვაა, - არაფერი არ არის (ამაში თავადაც რწმუნდებით), მე კიდეც მეორე ამოსუნთქვას გისურვებთ, ჩვენდა საკეთილდღეოდ. შეგარჩენოდეთ შემტევი ხასიათი და მოსიყვარულე გული:

შენი მადლი და ნაღვანი  
მუდამ დიოდეს, დიოდეს!  
ცხოვრების მდინარეებში  
ლეგენდად გადადიოდეს.

აკი, გადადის კიდეც. ვის აქვს კიდეც, სხვა მწერალს, ოცდახუთმეული გამოშვებული, სულ ერთმანეთზე უდიდესი სიბრძნით დაწერილი. თქვენ ქართული მწერლობის ცოცხალი მემკვიდრე და უდიდესი კლასიკოსი ბრძანდებით.

თქვენ ქართველი ერისთვის ისეთი ძლიერი ბერძენი ხართ, ჰაერში გაშლილ ტოტებზე არწივებს რომ ისვამს და ფესვებით ქართულ მიწას აკავებს. ერის ტკივილი საკუთარ ტკივილად მიუჩნევია და სამშობლოს სიყვარული ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი.

დე, მუდამ ჯანმრთელად იყოს რევაზ მიშველაძე, ყველას მშველელი და მოჭირნახულე!

გილოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს!  
გილოცავთ ახალ 2020 წელს!  
გილოცავთ დამდეგ ქრისტე შობის დღესასწაულს!

ალილუია! ალილუია! ალილუია!

ნიკოლოზ კურტანიძე  
10.10.2020 წელი

### ჩვენს ძვირფას მეგობარს ჩვენს მიხედვით

ცხოვრების გზები ღირსებით განვლე,  
ძმასთან დამთმობო, მტერთან კი ურჩო,  
ხარ ჭეშმარიტი მამულიშვილი,  
ქართულ მწერლობის ურყევო ბურჯო!

შენი

თენგიზ უთმელიძე  
8 თებერვალი, 2018 წელი, დავით აღმაშენებლის ხსენების დღე

### აბატონ ლეონი 80 წლის დიდ მწერალს

ჩვენმა რევაზ მიშველაძემ  
რამდენჯერმე მიშველა მე,  
მისი თანადგომისათვის  
დიდი გრძნობა მიჩნდება მე.

იგი უკვე ასულია  
დიდ პარნასის მთის წვერამდე,  
ვისურვებდი ამ ჩვენ მამულს  
მისნაირი ბევრი ჰყავდეს.

სიცოცხლე რომ შეგვაყვაროს  
და ქართველი ქართველს ჰგავდეს,  
რომ დავიცვათ საქართველო  
მტრებისაგან შინ და გარეთ!

ზურაბ მამულაშვილი

### XXI საუკუნეში ხელოვნება განსვენა?!

12 მარტს, საქართველოს მწერალთა კავშირმა და თბილისის მერია დაიწყო საიუბილეო შეხვედრა მოუწყო აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, მსოფლიოში სახელგანთქმულ პოეტს ანარიანს. მეც, თქვენმა მონა-მორჩილმა თბილი სიტყვებით, ჩემი ფერწერული ნახატი და ჩემივე ავტორობით გამოცემული წიგნი „ვაჟა-ფშაველა და დრო“ გადავეცი მონვეულ სტუმარს. სიტყვით, რა თქმა უნდა, გამობრძანდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, დიდი პროზაიკოსი და საოცარი ორატორი რეზო მიშველაძე, რომელიც საინტერესო მისაღმების შემდგომ, აზერბაიჯანის მწერლების ხელფასებთან დაინტერესდა. პოეტ ანარიანის თქმით, აზერბაიჯანის უფროსი თაობის მწერლებს ხელფასის სახით ყოველთვიურად უხდებიან 1000 დოლარს, საშუალო თაობისას - 500 დოლარს, ხოლო უმცროსი თაობის მწერლებს - 300 დოლარს. ეს მართლაც ღირსეული დაფასება და მზრუნველობაა მუზის მსახურთა მიმართ. საქართველოში კი, არც მწერლობა და მხატვრობაა დაფასებული, ერთობ დამძულ-გალატაკებულია შემოქმედი ხალხი, დაკნინებულია ეროვნული მწერლობა.

ჩვენი გაზულუქებული მთავრობის წევრები ასიათასდოლარიანი მანქანებით დაქიან, სადილ-სავახშმოდ რესტორნიდან რესტორანში დასლოკინებენ და არც კი ახსოვთ შემოქმედი ხალხი. საზოგადოების გულცივობაც შემოქმედი ადამიანების მიმართ, მთავრობის მანკიერი პოლიტიკითაა განპირობებული. უკულტურო მთავრობას არ ანაღვლებს კულტურის მუშაკების დამცირებული და შეჭირვებული ყოფა. საქართველოს ეკლესიაც სრულ გულგრილობასა და უზრუნველობას ავლენს შემოქმედი კლასის მიმართ. მათგან მხოლოდ „შემოგვწირეთ“ ისმის და მოგვიმრავლდნენ ღიპიან-ჯიპიანი მდიდარი მღვდლები მაშინ, როცა მხატვრების, მწერლების, მუსიკოსების, მოქანდაკეების აბსოლუტურ უმრავლესობას საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების საშუალება არა აქვთ და ცარიელი სტომაქით წერს, ხატავს... ამ მხრივ, ყველაზე მეტად, ახალგაზრდა შემოქმედთა ყოფაა მტანჯველი და გაუსაძლისი, რომელიც საღებავის ფულსაც კი ვერ შოულობს ხშირად.

დედაქალაქის მერია, ზოგჯერ კი ეხმარება შემოქმედ ადამიანებს გამოფენ-

ების მონყოფაში, წიგნების გამოცემაში. პირადად მეც დამეხმარნენ და მადლობელიც ვარ, მაგრამ ამას ხომ სისტემური ხასიათი არა აქვს, არამედ ბედნიერ გამონაკლისსა და იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. შემოქმედებს კი მუდმივი თანადგომა და მხარდაჭერა ჭირდება, სწორედ სახელმწიფოსგან. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემოქმედების განვითარება. ამისთვის ბიუჯეტში უნდა იყოს განვირული გარკვეული რაოდენობის თანხები. სახელმწიფომ, აგრეთვე უნდა დააყლოს ბიზნესმენებს მწერალთა კავშირის, მხატვართა კავშირის, კომპოზიტორთა კავშირისა თუ ყველა შემოქმედებითი კავშირების მეურვეობა მცირედი დახმარებით მაინც, რომ შემოქმედი ხალხი სულ მთლად მიტოვებულად და დაუცველად არ გრძნობდნენ თავს და სასოწარკვეთილებებში არ ვარდებოდნენ ეს უფაქიზესი სულის ხალხი.

ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო ქონების ერთ-ერთი მენილე ხომ შემოქმედი ადამიანებიც არიან და მათ მიზერული წილი მაინც ხომ ეკუთვნით ამ საერთო-სახალხო ქონებიდან. რეალურად, ყველა ქონებიდან ამოქაჩული ფული სახელმწიფო ბიუჯეტსა და ხელისუფალთა პირად ყულაბაში იყრება, რომელიც შავი კუბოა ერის კულტურისა და ცივილიზაციისათვის.

1992 წლის შემდგომ, ჩვენს ქვეყანაში გაჩნდნენ მრავალი მონვევის პარლამენტარები და მრავალჯერადი მინისტრები, რომელთა ხელფასები და პრემიების სახით შემოსავლები ბევრ კაპიტალისტურ და განვითარებული ქვეყნების ხელმძღვანელი პირების შემოსავლებს აჭარბებს და ყოველ მათგანს, ასევე გარანტირებული აქვთ სოლიდური პენსიებიც. ხოლო, „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“-ს და „დავით აღმაშენებლის“ ავტორი დიდი პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი კი წლებია სიცოცხესა და უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს, ხილი ენატრება.

ჩვენ ყველამ ერთად, ხელისუფალთა მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშებით სავსე შავ-კუბოს უნდა გამოვტაცოთ შემოქმედების ნაწარმოებები, უბედურების კუბო ხრამში გადავჩეხოთ და ხარბი და გაუმძღარი ხელისუფლება განვდევნოთ სათავეებიდან და ავალორძინოთ XXI საუკუნის ქართული სულიერი ცივილიზაცია, რათა ის მარადიული ფანჯარა, მომავალ თაობებს, უაზრო შავ კვადრატად არ ექცეს...

რეზო ადამია

### ვის კაბადონად ქცეული ხელოვნება

ჩემო დიდო მანქანო, ბატონო რეზო, მაგ შედეგების შექმნაში ოთხმოცი წელი გასულა თურმე. დიდი შემოქმედი ხომ აკვნიდანვე უფლისმიერია: გაივლის ათეული წლები და თქვენი ქმნილებები უწყვეტ სხივებად გაანათებს ქვეყანას. მაშინ უსათუოდ შურზე მალა დადგება რეზო მიშველაძისეული შედეგები და მოშურნენი ერთხელ და სამუდამოდ დაისვენებენ. ბატონო რეზო, იმდენად ღვთიურია თქვენი პიროვნულ-შემოქმედებითი კეთილშობილება, უბრალო ადამიანებს უჭირთ მაგ ნათელ იდუმალეობასთან მიახლოება; ესაა უთუოდ მიუწვდომელი მწვერვალისმიერობა.

თქვენი ულამაზესი ოთხმოცი წელი რასაც მთელი ჩემი არსებით გილოცავთ, ჯანსაღი გაგრძელებით გადაშლილიყოს ასოც წლამდე და ამინ!

უწმინდესი სიყვარულით თქვენი რეზო ადამია  
2020 წ. იანვარი

როსტომ ჩხეიძე

რა გაასუნებს...

სოსო სიგუას სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე აკაკი განერელია, ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტი, რამდენჯერმე გაიმეორებდა:

- ხომ ხედავთ, როგორი მაძიებელი გონების კაცია.

თვითონაც მაძიებელი გონების კაცი გახლდათ ბატონი აკაკი, არაფრისდიდებით რომ არა კმარობდა ნაკითხულს და ყოველდღიურად მეტსა და მეტს მიეღებოდა, და ამიტომაც დაუფასებდა სოსო სიგუას დაუმცხრალ სწრაფვას ყველაფრის მოძიება-მოსაჩხრეკად და წასაკითხად.

ის დაცვა, რომელსაც ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი უნდა ეკურთხებინა, თავისებურ ტრიუმფად გადაიქცეოდა, მისი საფუძველი კი უნდა ყოფილიყო მონოგრაფია „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, რომელიც ჩემი სიტყვების ერთ უსაყვარლეს წიგნად გამხდარიყო უკვე, ჩემს სულიერ ფორმირებაზე საგრძნობი გავლენა რომ უნდა მოეხდინა.

სოსო სიგუა უნდა ყოფილიყო ყველაზე უმცროსი იმათ შორის, რომელთა მონოგრაფიებიც ჩემს სამაგიდო წიგნებად ქცეულიყო.

თუ ვინმე, კონსტანტინე გამსახურდია მიყვარდა, მისი ესეისტიკაც და პუბლიცისტიკაც არანაკლებად, ვიდრე ნოველები და რომანები, და მეგონა, კარგადაც ვიცოდი, და აი, სოსო სიგუას წიგნის გაცნობა აღმომაჩენინებდა, თურმე რამდენი რამ არ მცოდნოდა ან ისერიგად ვერ ვწვდებოდი.

თხრობაში შემოვიდოდა ის პუბლიკაციებიც ძველი პერიოდიკიდან, ჩემთვის იმჟამად ხელმიუწვდომელი რომ გახლდათ, და რაც მთავარია, გამოგნებელი იქნებოდა ის მასშტაბური ხედავ და თითქმის ზეპირი ცოდნა კონსტანტინე გამსახურდიას გრანდიოზული ლიტერატურული მემკვიდრეობისა, მკვლევარი თითქოს რომ დაცურავდა ამ სამყაროში და სულ ადვილად შეეძლო მოეხმო ათასგვარი დეტალი თუ ნიუანსი, დაეკავშირებინა, გადაეხა და ცოცხალ, სახიერ სურათებად ჩამოესხა. მერე კიდევ ფსიქოლოგიური თვალთახედვის შემოტანა კვლევაში, აღარაფერს ვამბობ ფილოსოფიურ ნიაღვრებზე...

მოგვიანებით ეს ძიებანი უნდა შეეწოსო მონოგრაფიებს

„კონსტანტინე გამსახურდიას თეორიული სისტემა (1916-1926)“ და „სლანსკი, ასჩვიდმეტი“ - გვირგვინი კი ამ მიმართულებით გარჯისა, საბოლოოდ რამდენიმე ტომი რომ უნდა მოეცვა საერთო სახელწოდებით „მარტვილი და ალამდარი“, უნდა ყოფილიყო ბიოგრაფიული რომანი კონსტანტინე გამსახურდიაზე, ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუში, ამ დიდებული შემოქმედის უჩვეულო ცხოვრების ქარგაზე მთელი ეპოქის დრამატული სულისკვეთებაც რომ უნდა გახსნილიყო.

სოსო სიგუას ამ მონუმენტურ ქმნილებაში ჩაფენილია ცალკეული სტატიებიც და ნარკვევებიც. ფინალურ აკორდად ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული და ჰეროიკული ბედი რომ არის წარმოსახული: „დევილი ტრიუმფატორი“.

საძირკველი კი ამ ყოველივესი მაინც „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, რომელსაც - გარ-

და ქებისა დისერტაციის დაცვისას - ჩაქოლვაც მოუწევდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ განხილვაზე, რომელიც გარკვეული წრისათვის პირადი ანგარიშსწორების ასპარეზად გადაიქცეოდა...

გამოსვლით ზვიად გამსახურდიაც გამოვიდოდა, ხელთ დანერილი ფურცლები რომ ეჭირებოდა, და საკმაოდ მწვავე შენიშვნებსაც გამოთქვამდა. გასაკვირი არ არის, მძაფრად რომ აღიქვამდა ყოველ მოსაზრებას, რაც მამამისს ეხებოდა, რაოდენ კეთილმოსურნეც და საქებარიც უნდა ყოფილიყო ის მოსაზრებანი და დაკვირვებანი, ოღონდ აღარ გაითვალისწინებდა, რამდენიმე ადამიანისაგან უსამართლო თავდასხმების შუაგულში რომ მოხვდებოდა ეს არაორდინარული წიგნი და, რაც წინასწარვე მოემზადებინა, იმის გამოთქმას იკმარებდა, კარგს არას იტყოდა, თუმც ზეპირი გამოსვლა და იმპროვიზაცია მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

დამთრგუნველი აღმოჩნდებოდა ჩემთვის მთელი ის ატმოსფერო, მაგრამ ჯერაც მიუჩვეველი ვიყავი საჯარო გამოსვლებს, და ვიდრე გადავწყვეტიდი ჩარევას და სიტყვას მოვითხოვდი...

კიდევ დამთავრდებოდა ის აუტოდაფე-

და დღემდე მწარედ ჩამჩხვლევს ხოლმე გულში ის გახსენება, ბოლოსდაბოლოს დარბაზიდანაც შეიძლებოდა რეპლიკა, სხვა თუ არაფერი, იმის თქმა მაინც, რომ მთლად ასეც არ იყო საქმე და ეს მონოგრაფია თუნდ ჩემი ერთი უსაყვარლესი წიგნი გახლდათ... მაგრამ...მაგრამ...მაგრამ...

უშუალოდ უნდა ებიძგა სოსო სიგუასათვის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისა და ცხოვრების შესწავლა-შეცნობას „ქართული მოდერნიზმის“ შესაქმნელადაც, მართლაც მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გზამკვლევის, ხოლო „ქართული კულტურის ისტორიის“ დამწერი - უკვე მეოთხე ტომიც რომ გამოიცა - ჩვენს სინამდვილეში სხვა არც არავინ მეგულება, თუ არა სოსო სიგუა, რომელიც ყოველთვის თავმდაბლურად აფასებდა თავის ნაღვანს ლიტერატურისმცოდნეობასა და სალიტერატურო კრიტიკაში, და არასოდეს დაუჩივებია თუნდ კონსტანტანტინე გამსახურდია; და მიაჩნდა და მიიჩნევს, რომ შეიძლება არსებობდეს ამ გრანდიოზული შემოქმედების სხვაგვარი ნაკითხვაც, არსებობდეს უკეთესი ნაკითხვაც, და რომ მის მონოგრაფიებსაც შეიძლება გაუვიდეს ყავლი.

მაგრამ მთავარი ხომ ყოველთვის რჩება.

განსხვავებით ბიოგრაფიული რომანებისაგან, გამოკვლევები მართლაც დროებით როლს ასრულებენ - თუმც ეს „დროებითი“ საკმაოდ პირობითი ცნებაა - და „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურაშიც“ არაერთი რამ შესაძლოა უკვე გაფერმკრთალდა თუ გახუნდა, ცოტა ზედაპირულიც გამოჩნდა - თუნდ ისევე სოსო სიგუას შემდგომი ძიება-ჩაღრმავების წყალობით, მითუმეტეს ამ რანგის ბიოგრაფიული რომანით მოაგუმბათა ის გარჯა, რაც მთელს მის ცხოვრებას გამოსდევს.

მაგრამ რა გაახუნებს, რა გააფერმკრთალებს იმ პირველ განცდასა და შთაბეჭდილებას, ჩემს სულიერ ჩამოყალიბებაზე ამ წიგნსაც ასეთი სასიკეთო კვალი რომ უნდა დაეჩნია.

მარი თაბაგარი

\*\*\*

მესტუმრა ბინდი (ვარსკვლავების არის მთოვარი), აბორგად წელში გადახრილი ნამგალა მთვარე. ამ დროს უჩუმრად მწუხარების მოდის მსტოვარი და ვითვლი დღეებს, ცრემლებივით რომ გადავღვარე. ახმაურებულ ჭრიჭინების ვუსმენ არიას და სადღაც ჭოტი შემომძახის გადარეული; თმას რომ ეხება, მონაბერი სუსტი ქარია, მზარავს, მგონია ხელის სუსხი ის შორეული... ალიგერის კომედიას ვფურცლავ უძილო, მზერით ჩავივლი ჯოჯოხეთის ყველა საფეხურს; ღამის წყვილადმი ვერ ვაუშდლებ, მშვიდად ვუცქირო, ლუციფერის წინ წენვა-გლეჯით გამართულ ფერხულს... ვეძებ სიმშვიდეს... ბეატრიჩეს სულს ჩავისახლებ, შევევდრები, ვიმათხოვრებ შექსპირის კალამს... ჩემში რომ ახლა უშიშარი ქალმერთი სახლობს, თვით კასიუსი ვერ აკადრებს უდიერ სალამს. მესტუმრა ბინდი და რა დიდხანს გაგრძელდა ღამე. შემოვიარე მთა და ველი, მხარეც კლდიანი; არ დამჩენია ჭიუხები, პატარა მღვიმეც, სანდო კი არა, ვერსად ვნახე ადამიანი! ბინდი მესტუმრა!..

ჩემი მთანინდა

ვინ მოიგონა ევერესტის დიდი სიმაღლე, ვინ გააოცა ჯომოლუნგმის კალთის ციცაბომ?! ქართველი ვარ და გამაჩნია სულ სხვა სიმაღლე, არ შემიძლია, ეს სიდიდე როგორ ვინამო.

რა ევერესტი, რა ჩოგორი, რა კაჩეჯანგა, როცა სამშობლოს ეხიდები როგორც ტარიგი.

არ შეუქმნია ქვეყანაზე ჯერ გამჩენს სხვა მთა, ჩემს მთანინდაზე მაღალი და უფრო ნატიფი.

აქ მეგებება ჭაჭაჭაჭის ნაზი ასული, დიდი ილიას მირონცხებულ სიტყვის გენია, ვაჟა-ფშაველა, ყველა მთაზე მაღალი სულის, ბარათაშვილიც, ყოფიანიც აქ ასვენია.

აქ ქაქუცაა, იაკობი, დიდი აკაკი, „მთანინდის მთვარეს“ თითქოს გალობს გალა სტიქარში, შემოქმედების გენია დულს, თანაც რაკრაკით მიედინება ცისკენ, მაღლა, გალაქტიკაში.

მთის მწვერვალზე დგას მაღლიანი მამა დავითი, ტაძრის გუმბათი გვირგვინად აქვს მგოსანთ სავანეს, ფართოდ გაშლია ზეციური მხარი, ლავინი, სულით ცის ახლოს, მაგრამ შორი როგორც სამარე...

რა ჯომოლუნგმა, მე სიმაღლეს ვზომავ სხვაგვარად; უფალმა ჩემი საქართველო ნიჭით დანიდა. ბუმბერაზები დაიტია, ნეტავ, რაგვარად?! უკიდევანოდ მაღალია ჩემი მთანინდა!!!

დედა ენა

რა ძალა შეგწევს, გაჩენის დღიდან, კინძავ და ფურცლავ მემატიანეს?! საუნჯევ ტკბილო, დედაო ენავ, ძარღვებში სისხლთან ერთად ტრიალებ!

დედაშვილობა

გაბუტულივით იბერება ხეზე ატამი და ეტოლება ჩემი მუცლის წრენიის სიგრძეს. რატომღაც მხიბლავს ყვავილობის ერთი ეტაპი, ორი სული რომ ერთ სხეულში ერთმანეთს იგრძნობს და ბალადაში ეფერება სტროფებს ტაეპი, დედაშვილობის სიტკბოება გადმოსცეს ვინძლო.

\*\*\*

მაფიქრებს სახლი საყდარივით მშვიდი, პატარა და ლოკოკინა, იმედი რომ ზურგით ატარა. სახლი კი არა, დარდი დამაქვს ასე ბოხჩებით; მაინც ღიმილი დამაჩნდება, როცა მოვკვებები!

გოჩა ხარანაული

პიტი

ეს უგონთური რა გახდა, გამაგებინე,  
რევაზ, როგორ გაუძღვებ მამული წალმა-უკულმა  
რყევას!

როგორ მოვიქცე სანყალი იქნებ შენ  
მიტხრა, ზურაბ, ქართული გული ჩლიქებით მონდომებით  
რომ წურა!

ყაჩაღად ჩავჯდე საფარში, თუ შევდგე  
სადმე ბერად, წყალი ვგრიხო თუ საბელი ყულფად  
გამოვკრა, მერაბ!

ეს უკუ დაბადებული სადამდე მიდის,  
თამაზ, ან საქართველოს რას ერჩის ასე სანყალს  
და ლამაზს!

რაი ვქნა, ჩემო მოხვევე, ქუშაშვილების  
ბალო, რადღა გვლაატობს ბოლო დროს ჩვენი  
ნიჭი და ალო!

საით წავიდე მითხარით, ჩემო თედო და  
ნიკო, თავზე რომ წამოგვახიეს თურქის  
დროშა თუ ტრიკო!

ამოიარა არსენამ ღრუბელისფერი  
დროშკით, გაუპიათო შუაზე იმხანო და ოშკი!

ქართველებისგან ამოგდით თავზე  
ქართული კოპი, ფეხზე ჰკიდია ურჯულოს რა ემართება  
ოპიზს!

სად ამოვვარდე, სად ჩავდგე, სად ვზილო  
სისხლით თიხა, სად დავიძინო, ძილში რომ თოფი არ  
დამკრან, მიხავე!

პური მაჭმე, ყივჩალო, ღვინო მასმიე,  
ქურთო, თორემ მშიერი თავ-პირი ფუნაში უნდა  
ვდურთო!

ო, რა ტკბილი ხარ, თათარო, შენ გაქვს  
ქინძი და კამა, მე - ამოვავლე წუმპეში თამარის თეთრი  
კაბა!

ისე გაგატან, სომეხო, ახალციხესაც...  
ონსაც...

ქართულ ღიმისაც მოგიძღვნი,  
ქართულს წაგისმევ ქონსაც!

ვინც მოყვარესა არ ეძებს ჭირი იმას და  
ქატო, მაგრამ ერთი ვერ გავიგეთ - სად ვეძებოთ  
და რატომ!

მშობელი დედის არმცნობი, ცუდად  
კუნტრუშებს კვიცი, ამას რაც მოსდევს, ქართველნი, ვიცი,  
ვიცი და ვიცი!

რა ხდება?

ნიქარას დაკვლას ვაპირებთ,  
პირს ვუნყოფთ დანას შავტარას,  
იმად ვართ უბედურები,  
ვუკმევთ ხორცშესხმულ სატანას!

მუდამ ვარ მისი მქებელი,  
ვინც შენ წყლულები მოგბანა!  
იმად გვჭირს უშველებელი,  
რუსთველის ნაკლებობა!

ხე-ქვა ცხვირ-პირში გვეხლება,  
მოგვდგა უბირი ათასი,  
ვენახი მიტომ გვეხნება,  
ჩოხა ჩავკუნეთ ვაჟასი!

ოქრო გაბახდა ხალასი,  
ისევ თვლელა და ძილია,  
რა ხდება ამ ქვეყანაში?  
- ილია გამოილია!

\*\*\*

უნდა წავიდე, თუმცაღა  
მე მგონი - უკვე წავიდე,  
ფეხზე მკიდია საათში  
წაჯამბაზევი წამები.

რომ დავრჩე - უნდა წავიდე,  
გული გავუპო ლაჟვარდებს,  
ზოგავით ძეხვად არ ვიქცე  
ემანდ სადმე არ დავჟანგდე.

სარცხვინო დამონება,  
დანებდე დროის პითონებს,  
მოსვლა - იმისი ნება,  
წასვლის უფლებას ვიტოვებ!

\*\*\*

ქართველი კარგავს ფუნქციას,  
ქვეყანა ისე ურცხვია,  
რომ ეროვნული ფეხები  
სხვის მხრებზე შემოუნყვია.

რაც წინაპარმა აგროვა,  
ბრიყვი ქართველი ფანტავსა,  
თურაშაულის პატრონი  
ჭალაში ეძებს პანტასა.

ერთად გაუნყრა გამჩენი  
ვარდებს, იებს და ენძელებს,  
მამულს კარგავენ მაჩვები,  
მერე - ლომები ეძებენ!

ამერიკა

როგორ შევხედო მოსისხლეს ნაზად!  
ვით წაწვდე ლუკმას ცოდვილს და  
არამს!

დანაპირები სად არის, ვაჟავ,  
რად არ მოადგენ სამასნი არაგვს?!

ნეტავი, შოთავ, არ იწვის ცა რად,  
ან რა ვქნა თუ ლომს ფაფარი არ აქვს,  
რატომ დაგირჩა მამული ცალად,  
რად დაავინყდათ ინდოს და არაბს...

სად არის, ლადოვ, რომ მოჰგავს ხვითოს,  
ნატვრისთვლიანი რად ვქექავ ნაგავს,  
დაუფრენია ლამ-ხახა პითონს,  
ჯერ არ გაგუდულს ჩემს მამულს  
ყლაპავს!

მიხავ, ძმის გულო, ნულარ მეძახი,  
ვერ გავხდი შენი წყლულების მკვრელი,  
წევს ამერიკა - შლეგი მეძავი -  
ჩემი ლამაზი სამშობლოს მკვლელი!

\*\*\*

დიდება ხატს და სახატეს,  
ღმერთო, რა კარგად დახატე,  
რა კარგად ამოაშენე,  
რა კარგად ამოამშვენე!  
ღმერთო, რა ვალი დაგვადე,  
სამყაროს ამოდაგვამდე,  
ღმერთო, შეგვიწდე წყლულები,  
არწყულე დასარწყულები!  
ღმერთო, არ მისცე უფლება,  
ისევ დამარხონ ლაზარე,  
საცოდავ ქართველთ გულები  
სამრეკლოსაებრ აზარე,  
დაუფრთხე ძილის ბურანი,  
შეაძგერ - შეაზანზარე!

სასხალლო ღოცვა

ღმერთო, შენ მიეცი ძალა,  
ყველა ძალაგამოლეულს!

ღმერთო, ყანას შეეშველე,  
სარეველაგამორეულს!

ღმერთო, შენ აჭამე პური,  
ყველა ლუკმაგამოლეულს!

ღმერთო, შენ მიეცი ჭკუა,  
ყველა ჭკუაგამოლეულს!

ღმერთო, შენ მიეცი რწმენა,  
ყველა რწმენაგამოლეულს!

ღმერთო, მიეც სიყვარული,  
ყველა სიძულვილით ძლეულს!

ღმერთო, შენით, შენით ვავსებ,  
ბავშვობაში გამლილ რვეულს!

შენით ვაკონინებ კედელს,  
კედელს - ქვითკირგამონგრეულს!

ყველა - ვინც იძლია შარშან,  
მოამძღავერე, ღმერთო, წლეულს!

უმფარველე, ღმერთო, ჯეჯილს,  
ჯეჯილთაგან გამორჩეულს!

მოარიდე სანთელს ქარი,  
ლაქმე დღე ვერ მოიხელთოს!

შენ უშველე, ღმერთო, ყველას,  
ბოლოს მე მიშველე, ღმერთო!



ირმა მეპურიშვილი - 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ირმა ტაგუს ასული მეპურიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ირმა!  
ჩვენი ძვირფასო და საყვარელო კოლეგა!  
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, ბანოვანს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 60 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს. დიახ, ზუსტად ოთხი ათეული წლის წინათ სრულიად ახალგაზრდა გოგონამ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ ჟურნალ „ნობათში“, მას შემდეგ თქვენი ლექსები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებად.  
საინტერესო, მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედი ბრძანდებით, გამორჩეული ხელწერისა და მსოფლალქმის მქონე პოეტი. სწორედ ეს გარემოება გახლავთ უპირველესი გარემოება, რის გამოც დახვეწილი გამოვნების მქონე ქართველი მკითხველი სიამოვნებით ეცნობა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „ლირიკა“, „ლექსები“, „სულის ამინდი“, „ნარმოსახვა“, „ლექსის ქუჩაზე“, „სიკვდილია სიცოცხლე სიყვარულის გარეშე“. ამ კრებულებში შესული ლექსების ავტორი ჭეშმარიტი ქრისტიანია და ვერავინ გადაარწმუნებს იმ ანბანურ ჭეშმარიტებაში, რომ ღმერთი სიყვარულია. ამიტომაც რჩება ამ უდიდესი ადამიანური და ღვთიური გრძნობის მარადიულ მხველად. პრეტორიული ხანის დიდი ბავშვით დააბიჯებს ჩვენ ცოდვით დაცემულ დედამიწაზე და სასწაულს ელის. არსთაგამრიგეც, შეძრული მისი სულის სისპეტაკითა და სინარწარით, არ აკლებს ამ სასწაულების ხილვის ბედნიერებას, მას შეუძლია კანდელის ცეცხლის ალში აყვავებული ვარდის, ელვარე და ხასხასა ვარდის დანახვა და ეს ხილვა დიდხანს, ძალიან დიდხანს ყოფნის სულის სითბოდ და საგზლად. ებრძვის, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძვის სულში ჩამოთოვლოლ ზამთარს და თავადაც წააგავს ზამთარში, დეკემბრის სუსხში უსასოდ დარჩენილ გაზაფხულის მომლოდინე ალვის ხეს. როგორ შეიძლება არ შეგძრას იმის ხილვამ, თუ რანაირად შესცქერის დანისლული ზეცის იალ-კიალს, და რა სიმძაფრით ადღელებს სწორედ იმ ნისლებში გადაკარგული ბელურას ბედი. საოცარია თქვენი პოეტური ხილვები, პოეტური ზმანებანი, თქვენი სწრაფვა შემოქმედებითი სრულყოფისაკენ...  
ჩინებულად თარგმნეთ ველიმირ ხლებნიკოვის, მარინა ცვეტაევას, ლუდმილა აბაევას პოეზიის ცალკეული ნიმუშები.  
თქვენი ლექსები ითარგმნა რუსულ და ინგლისურ ენებზე.  
ძალზე საინტერესო ლიტერატურული წერილები მიუძღვენით არჩილ სულაკაურის, გუგული ტოგონიძის, მზია ხეთაგურის, იზა ჯაჭვადის შემოქმედებას.  
კარგად გვახსოვს თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა. თქვენ ხომ დიდხანს მუშაობდით რადიო „სიჭაბუკის“ კორესპონდენტად, აღმანახ „კრიტიკის“ რედაქტორად, გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორად, შოთა რუსთაველის საზოგადოების საგამომცემლო სახლის - „მამულის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ და ყველგან სიკეთისა და სათნოების ნიმუშად გვევლინებოდით.  
თქვენი ღვაწლი და რუდუნება ანა კალანდაძისა და მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა.  
ქალბატონო ირმა!  
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩვენს სიყვარულსა და პატივისცემას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი და ჩვენი საფიცარი სამშობლოს გაბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



როცა უკანმოხედვის არ გეშინია

ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის ომარ მარგველაშვილის წიგნს ჰქვია „როცა უკანმოხედვის არ გეშინია“.

ეს წიგნი ახლახან მიიღო მკითხველმა და წიგნისადმი გაგულგრილებული ჩვენი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა უკვე იმდენად მოასწრო, რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

მემუარებს ახლა ბევრნი სწერენ. ჩემს მაგიდაზე მოგონებათა რამდენიმე წიგნი დევს, რომელთა უმეტესობა უკვე წავიკითხე.

დანარჩენის ნაკითხვას ხვალ-ზეგ ვაპირებ.

ნაუკითხავს, რასაკვირველია, არც ერთ მათგანს არ ვაუშვებ და ავტორებს წინასწარ უღრმეს მადლობას მოვხსენებ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის კითხვისას ასეთი ფიქრი ამეკვივია: როგორც ჩანს, მოგონებათა წერად რომ დაჯდე, ვერ იმაზე უნდა დაფიქრდე, გაქვს თუ არა რამე მოსაგონარი, ანუ ღირს თუ არა შენი ცხოვრების გზა იმად, რომ ფართო მკითხველს წიგნად შესთავაზო, ხომ არ აჯობებდა, შენი მოგონებები შთამომავლობისა და მეგობრებისათვის გადასახედად დაგეტოვებინა ხელნაწერის სახით.

აქ კი მემუარული ლიტერატურისადმი ორ უმთავრეს მოთხოვნას მივადექი: პირველი - მემუარისტო, შენ თვითონ საზოგადოებისთვის საინტერესო ცხოვრებით უნდა გეცხოვრო და მეორე - უნდა შეგიძლოს შენს მიერ ნაგრძნობი და ნაწინაი ამბებიდან იმ სურათების ამოკრება, მკითხველისათვის რომ საინტერესო იქნება. უნდა გქონდეს უნარი, მიმზიდველად უამბო იმას, ვისაც შენი განვილი გზის თანამოაზრედ ხდი მას შემდეგ, რაც შენს მოგონებებს სტამბის საღებავს აზიარებ და წიგნად შეკრავ.

პირველ მოთხოვნას ომარ მარგველაშვილი, როგორც მოქალაქე და მამულიშვილი, აბსოლუტურად აკმაყოფილებს.

იგი ჩემი თაობის კაცია და ათეული წლების განმავლობაში საშუალება მქონდა თვალი მიმედევნებინა მისი განზოგადებული საქვეყნო სამსახურისთვის.

იგი მშენებელი ინჟინერი გახლავთ და ფრიალ დასარჯა, რათა სამშობლოსადმი უანგარო ღვაწლი მართალი კაცის გამარჯვებული ნაბიჯებით დაემშვენებინა.

გარდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტისა, იგი გულსხმიერი მეგობარი, სასახლო ოჯახის თავკაცი და თავისი ტანჯული ქვეყნის თავგადაკლული ჭირისუფალია.

რაც შეეხება ჩემს მიერ ზემოთხაზულ მემორე მოთხოვნას, მთელი პასუხისმგებლობით ვიტყვი, რომ ომარ მარგველაშვილი უაღრესად საინტერესო მთხრობელია.

მეთათხიზერ ვიმეორებ: პროზა სხვა არაფერია, თუ არა საინტერესო ამბის საინტერესოდ გადმოცემა..

ის, რაც მე ამ წიგნში დავინახე, ომარ მარგველაშვილისგან სრულიად დამოუკიდებლად ხდება. ეს უკვე თანდაყოლილი ნიჭია.

ვერ ერთი იგი წინასწარ ფიქრობს: არის თუ არა საზოგადოდ საინტერესო ის, რასაც მკითხველს ვუამბობ და მეორეც, ხომ არ ვსარგებლობ ბოროტად მკითხველის ყურადღებით. დიახ, შეძლები-სდაგვარად მოკლედ, ლამაზად და საინტერესოდ ვყვები თუ არა ჩემი ცხოვრების ტკბილ-მწარე დღეებზე.

მე მწერლობისადმი ჟანრული ერთგულებით ნოველისტი ვარ და შემიძლია ხატზე დავიფიციო, რომ ომარ მარგველაშვილის მოგონებათა უმეტესი ნაწილი ნოველა გახლავთ. ასე რომ, მისი წიგნი დოკუმენტური ნოველების კრებულია.

ომარ მარგველაშვილის ამ წიგნის სრულყოფილებას ისიც უნდა ხელს, რომ გარდა წმინდა ლიტერატურული ღირებულებისა, მას გააჩნია მნიშვნელოვანი შემეცნებითი ღირებულება.

კითხულობ და ყოველგვარი თვითმიზნურობის გარეშე ცხადდება შენთვის სხვადასხვა თაობისა და ეპოქის უტყუარი ნიშნები, საშუალება გაქვს შეადარო ერთმანეთს არამარტო პოლიტიკური პიროვნებები, არამედ კაცური კაცობის და პიროვნული ღირებულების კამერტონზე გასინჯო, ვაჟასი არ იყოს, „ვინ ახლოს იდგა ღმერთთან“, ვინ იყო კაი ყმა და ვის მიმართ აღმოჩნდა წუთისოფელი ესოდენ უღმობელი.

ავტორი ექომაგება პოლიტიკური მჩხვანა კაცების მიერ ასპარეზიდან უსამართლოდ გარეკლი პროფესიონალებს და ჭეშმარიტ პატრიოტებს, გვიჩვენებს არაერთი თავგახურებული ახალბედა პირის მიერ მუჯლუგუნით, ყოველგვარი ისტორიული პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე მოზღვავებას ხელისუფლებაში და იმასაც ცხადყოფს, თუ რა უბედურება დაატყებდა ქვეყანას მავანთა უთავბოლო ყვანცაღმა.

ალაგ-ალაგ სევედნარევად ამოიხრებ. სად ვიყავით და სად მოვსულვართ. შეგიძლია შეადარო ერთმანეთს ეპოქები და გაისიგრძეგანო, რა რუდუნებით ვაშენებდით მკვდრეთით ფენიქსებრ აღმდგარ ქვეყანას და რა მეხატებდა დავიტყვით თავზე ჩვენივე უგუნურებით და უმეცრებით.

რადღეი ჟამკარარევით დაფვათურობთ ახლა იმ საქართველოს ნანგრევებში, რომელსაც ვერც ჭეშმარიტი თავისუფლება მოვუპოვეთ და ნაბან ნყალს ბავშვიც გადავაცოლოთ.

თუმცა... ეს წერილი მხოლოდ იმიტომ არ იწერება, რომ ავტორის უაღრესად სწორ მოქალაქობრივ პოზიციას გაეყვას ხაზი, ეს ყველაფერი პუბლიცისტური ნარკვევების ან პოლიტიკური სტატიების ჟანრულ ჩარჩოებშიც მშენივრად ჩაეტეოდა (რასაც ომარ მარგველაშვილი სხვა დროსა და ვითარებაში წარმატებით ახორციელებს), მე ამჯერად უფრო წიგნში გაფანტული, ჩემთვის ძვირფასი ეპიზოდები და საუკუნის აჩრდილთა სახეები მიდგას თვალწინ.

ავერ, ხან „ნესტორას“ და ხან „იპოლიტეს“ ლუდ-არყის ჯიხურთან ახალგაზრდებში მდგარი საუკუნის მუზა გალაკტიონი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხითხითითა და წამდაუნუმ ლომის წვერებზე ხელის ნერვული ასმა-ჩამოსმით.

ავერ, ულამაზესი მარინა მხეიძე, თბილისის თვალი (ჭაბუა ამირეჯობის პირველი ოფიციალური ცოლი), რომელიც ჭაბუასთან განშორების შემდეგ რამდენჯერმე უიღბლოდ გათხოვდა და თავისი ოთხი წლის გოგონა ერთხელ ტირილამდე იმით გაანაწყენა, რომ მორიგ საკუთარ ქორწილში არ წაიყვანა (მიაქციეთ ყურადღება ომარ მარგველაშვილის იუმორის შესაშურ გრძნობას, რ. მ.).

ავერ, ოთხმოცდაათწლიანი კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯობი - ქორა მახვილი

სავარძელში მჯდარი უმრწემეს მეგობარს და კარის მეზობელს „გორა მბორგალის“ თავებს რომ უკითხავს.

ავერ, უბეებდაბერილი და თამამოშვებული ნიაზ დიასამიძე შავი დაჭმუჭნული პიჯაკით და „ბუტილკა“ შარვლით, თავის განუყრელ თაფლისფერ სეტერთან ერთად, მომენტს რომ არ უშვებს, ამ ცხოვრებას არ შეეჩილიკოს.

ავერ, მაღალი, თხელთხელი, პენსე-ჟილეტიტით დამშვენებული ათას დელეგატეხას გადარჩენილი, ჰიტლერისა და გერინგის ყოფილი მეგობარი, რაიხის მიერ საქართველოს გუბერნატორად გამწესებული და ბოლოს გამომცემლობა „მერანში“ იურისკონსულად ჩამოქვეითებული შალვა მალაქელიძე.

ავერ, გერმანიაში ცნობილი (მაგრამ საქართველოში დღემდე თითქმის უცნობი) მწერალი და ფილოსოფოსი, ქართველ ემიგრანტთა სახელოვანი შთამომავალი გივი მარგველაშვილი.

ავერ, ლეგენდარული თამადა სიმონიკა სხირტლადე, რომელმაც ერთხელ ნაბახუსევემ, თოვლში, რუსთაველზე თეთრ ქურქში გამონყობილი ნატო ვაჩნაძე რომ შენიშნა, ფეხი არ დაუცურდესო, გაიფიქრა, უცებ ტყავის პალტო გაიხადა და საქართველოს მშენებებს ფეხქვეშ გაუფინა. ნატო არ დაიბნა, პალტოზე ფეხი შედგა, რაინდს გაუღიმა და გაიარა.

ავერ, ზვიად გამსახურდია თავისი თავგადაკლეული ეროვნულობით, სამშობლოსადმი თავდადებით და საეჭყო გარემოცვით, რომელმაც გარემოცვამაც დაარწმუნა, რომ ვისაც კომპარტიის მანდატი ედო ჯიბეში ყველა „ხალხის მტერი“ იყო და მერე, როცა ქვეყნის მართვა ვერ შეძლეს, ნამდვილი პროფესიონალები ხვეწნით მოსაბრუნებელი გაუხდათ.

ავერ, „საქართველოს ბედისწერა“ ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც არც პოლიტიკური მელიაობა, არც ცქუა-გონება და ცბიერება აკლდა, მაგრამ მძიმე დროს მოუწია ხელისუფლებაში ორჯერ მობრუნება, ორივეჯერ ღობეში გაკვახებული პოლიტიკური გოჭვივით წინიდანაც სცემდნენ და უენიდანაც და თავისი ორმაგი დიპლომატიის გადაამკედეს, ასპარეზიდან სამარცხვინოდ მოუწევს წასვლა. და მაინც, შევარდნაძის საბედისწერო შეცდომა და უპატივებელი დანაშაული ის იყო, რომ მან „ქვეყანა გადააბარა ავანტიურისტს და გარყვნილ სააკაშვილს“.

ავერ სახელოვანი მსახიობი ფრუნიკ მიკრტიჩიანი, რომელიც სპიტაკის სამინელო მინისტრის მეორე დღეს მოძმე სომხების დასახმარებლად ჩასულ ომარ მარგველაშვილს თვალცრემლიანი ეშუადარება: ომარჯან, აქ ნანგრევებში ჩემი და მოწყვა თავისი ქმარ-შვილით, იქნებ მიშველო და მომადებნინო, ან მკვდარი, ან ცოცხალი, აგრემც ღმერთი შეგენევაო“.

რომელი ერთი ჩამოვთვალო... ზემოთწამოვთვლილთა გარდა ომარ მარგველაშვილის მოგონებათა პანორამას ამშვენებენ: ირაკლი აბაშიძე, ვასილ მჟავანაძე, სოსო ხარატიშვილი, გორა ჩოგოვაძე და მისი ულამაზესი მეუღლე, ჩემი თანაკურსელი მანანა ჯიბლადე, თამაზ გამყრელიძე, ნატო ვაჩნაძე, ავთანდილ საყვარელიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, მედეა ჯაფარიძე, ლაზარ კანკანი, სტალინი, ვიქტორ ჩხიკვაძე, გოგი ანდრონიკაშვილი, დიმიტრი ქართველიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, არიელ შარონი, ოთარ ჩერქეზია, გივი გუმბარიძე, როინ მეტრეველი, მარგარეტ ტეტჩერი, თენგიზ სიგუა, ეგგენი ხარაძე, გია დანელია, კოლინ პაუელი, ავტორის უსათნოესი მეუღლე, ამ წიგნის რედაქტორი ბელა ლოლაძე, ნოდარ მექმაზრიანიშვილი, ვარლამ თოფურია, დიმიტრი

ბენაშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, კირა მიქელაძე, გიგლა ფირცხალავა, ნიკიტა ხრუშჩოვი, დოდო აბაშიძე, მარინა ახვლედიანი, ჯაბა იოსელიანი და თვით რონალდ რეიგანიც კი.

„მართლაც საოცარი და დაუფინყარი დრო იყო. მენატრება იმ დროის თბილისი და თბილისელები“ - წერს ავტორი.

დღეს ამ გვარების უმეტესობა საქართველოს თითქმის არაფერს ეუბნება. მიუხედავად იმისა, რომ სახელოვან ქართველთა დიდი ნაწილი დიდუბის პანთეონში განისვენებს, ნაცმოძრაობის კარნახით ვიცემერმა, ვინმე წინა ხატისკაცმა დიდუბის პანთეონი დახურულად გამოაცხადა და თბილისელებს აუკრძალა პანთეონში დაეკრძალათ ლეილა აბაშიძე, გივი ბერიკაშვილი, თამაზ ჭილაძე და სხვანი. მიუხედავად ჩემი არაერთგზისი შესხენებისა, არც ახლანდელმა მერიამ დაუბრუნა საქართველოს დიდუბის პანთეონი. ასეთია სამწუხარო რეალობა.

დღეს საქართველოში უამრავი გაზეთი გამოდის და ყველა დაბას თავისი ტელევიზია აქვს, მაგრამ ომარ მარგველაშვილის მიერ ზემოთწამოვთვლილ გვარებს „ახალყოლინი“ თითქმის აღარ ახსენებენ. ეკრანი და პრესა შეჭამა გულისამრევმა შოუებმა და სექსუალურმა მანქვა-გრეხამ.

ასე გადაედო ქვეყანას ეროვნული ფენომენისადმი ხელისუფლებიდან წამოხსული გულგრილობა. ასე დაივიწყა საქართველომ თავისი უახლესი წარსული.

სწორედ ეს გახლავთ მწერლის ურვის მიზეზი და საგანი.

დახურავ ომარ მარგველაშვილის წიგნს და ფიქრობ: ნეტავ, არ დამთავრებულიყო, ნეტავ არ დაბრუნებულიყავი ამ გულისამრევ, მატყუარა სიციხადემი.

სიციხადემი, სადაც ვილაძე ნკავსკავა ტურა ოთხმოცდაათწლიანულ კათოლიკოს-პატრიარქს სამინელო ცილს სწამებს.

სადაც შეშლილი პრეზიდენტი მწერლებს საკუთარ სასახლეს ართმევს და ქუჩაში ერეკება, ხოლო მის კვალზე მოსული ხელისუფალი მწერლებს (ერის სულიერ ციხეებს) შენობას არ უბრუნებს და გულსივად ქუჩაში ტოვებს.

სადაც 850 წლის შოთა რუსთაველს მთავრობის თავმჯდომარის, ვინმე კვირიკაშვილის დანაშაულებრივი გულგრილობით იუბილეს არ უხდია.

სადაც დამნაშავენი კანონიერ პარლამენტს კარებზე ბოქლომს უკიდებენ და დეპუტატებს სამსახურში არ უშვებენ.

სადაც საღისეტი დეპუტატი ქალები სხდომის დროს მომწამლავ სითხეს ღვრიან, ხოლო მათი დამქაში (ან უკვე მუდმივად არჩეული) მოსამართლენი, ოდენ ვეგეტარიანულ ზომებს იღებენ.

სადაც პოლიტიკოსთა ურთიერთობის ერთადერთ ფორმად ზიზღი და დედის გინება ქცეულია.

სადაც ყველაფერს გაპატიებენ ნიჭის გარდა.

\*\*\*

თუმცა შენი კარგი წიგნის მიერ მოგვირილი განწყობილების ნივანამი ვინძლო სიტყვა არ გამეძქეს, ომარ მარგველაშვილო.

რას ვიზამთ, იძულებული ვართ ეს სინამდვილე მივილოთ და მისი გაუქეთესებისათვის ერთად უნდა ვიბრძოლოთ.

ეს ჩვენი სამშობლოა; სამშობლოს კი ვერსად გავექცევით.

*რევაზ მიშველაძე  
რუსთაველის პრემიის ლაურეატი*



მურად ზარნაძე

მოპილურის სიკეთის შესახებ...

ჰო, კარგი... კარგი ... დამშვიდდი!
ჭკუიდან ნუ შეიშლები და ნურც გადაი-
რევი. პირსაც ნუ აიწყრალავ! ვიცის, ბატონო,

გთხოვ, ერთი ნუთით მომისმინო! კო-
პების შეკვრას შეეშვი და ეგ ნარბეზიც
თავის ადგილზე დააყენე. გულზე ხელი

ერთხელ რუსთაველზე სეირნობისას
ვხედავ ჭადართან დგას მოხდენილად ჩაც-
მული, ემხიანი და ტურფა ქალიშვილი.

ან რაღაა, მის ტანს რაღაც უცნაური,
ზღაპრული სხივები ეთოვება ზემოდან.
ღმერთო ჩემო, რა გულის ამარწყებელი

სურათია! ვწყევლი ბედს, მხატვრად რომ
არ გამაჩინა... რა ნატურა იკარგება და რო-
გორი მხერა. არადა, სათაურიც დაუკითხა-

ვად მოვარდა: „ქალიშვილი მობილური“
უნებურად ტანში მცრის და სული ზღ-
ვასავით მიწყებს ღელვას.

ან თუნდაც ასეთი შემთხვევა სადაქა-
ლოს ისტორიიდან: ერთ მშვენიერ დღეს
შეკრება თიკოს „სენსაციური“ განცხადებ-

სენსაცია არ შედგა. დაქალების მშრა-
ლი და არაფრისმთქმელი ამოხვრები: „ არ
გადამროო“, „ოო, რას არ გაიგებ“ და „ვერ

რეაქციებს მოელოდა. მაგრამ იმ ქერქე-
ტა ირინკას რეპლიკის შემდეგ: ნაშელები
თუ არის ამაში უჩვეულოს რას ხედავთო,

ლოგიკით იყო დალაგებული, თანაც ისე-
თი დამაჯერებელი, ისეთი მტკიცე ხმით
საუბრობდა, აშკარად იკვეთებოდა, რომ
მეცნიერულად დასაბუთებულ აზრებს ეყ-

სულაც არ ვაპირებ თავი შევანყინოთ
სადაქალოს შეკრებათა ანატომიების აღ-
წერით. უბრალოდ, ხსენებულ შეკრებას ეს-

სისხლი ამიჩქეფდა, ამას როგორ
მოველოდი - დღეს რესტორანში, ასეთ
საამურ ადგილას, სამყაროს გლობალური
ალსასრულის შესახებ ფიქრებისაგან თუ

გადაჭრით შემიძლია გითხრათ, იმ
ნუთიდან სადაქალომ სულ სხვა ადამიანი
შეიძინა - წყნარი, აუღელვებელი და იმა-
ვდროულად გამჭვირადი და წინდახედულიც.

ცხოვრებაში ვის არ შეგვხვდებოდა
ასოკირკიტა, გონებამოქნილი და ჭყის-
კოლოფა ადამიანები. ისინი უზომო ცნო-

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

არავისაც არაფერს არ ვეტყვი! აი, ასე! არ
გავხდები ეგოისტი, არ მოვპარავ და არა-
ვის ნავართმევ სიამოვნების ნუთებს!

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

ლოგიკით იყო დალაგებული, თანაც ისე-
თი დამაჯერებელი, ისეთი მტკიცე ხმით
საუბრობდა, აშკარად იკვეთებოდა, რომ
მეცნიერულად დასაბუთებულ აზრებს ეყ-

სისხლი ამიჩქეფდა, ამას როგორ
მოველოდი - დღეს რესტორანში, ასეთ
საამურ ადგილას, სამყაროს გლობალური
ალსასრულის შესახებ ფიქრებისაგან თუ

გადაჭრით შემიძლია გითხრათ, იმ
ნუთიდან სადაქალომ სულ სხვა ადამიანი
შეიძინა - წყნარი, აუღელვებელი და იმა-
ვდროულად გამჭვირადი და წინდახედულიც.

ცხოვრებაში ვის არ შეგვხვდებოდა
ასოკირკიტა, გონებამოქნილი და ჭყის-
კოლოფა ადამიანები. ისინი უზომო ცნო-

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

არავისაც არაფერს არ ვეტყვი! აი, ასე! არ
გავხდები ეგოისტი, არ მოვპარავ და არა-
ვის ნავართმევ სიამოვნების ნუთებს!

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

ლოგიკით იყო დალაგებული, თანაც ისე-
თი დამაჯერებელი, ისეთი მტკიცე ხმით
საუბრობდა, აშკარად იკვეთებოდა, რომ
მეცნიერულად დასაბუთებულ აზრებს ეყ-

სისხლი ამიჩქეფდა, ამას როგორ
მოველოდი - დღეს რესტორანში, ასეთ
საამურ ადგილას, სამყაროს გლობალური
ალსასრულის შესახებ ფიქრებისაგან თუ

გადაჭრით შემიძლია გითხრათ, იმ
ნუთიდან სადაქალომ სულ სხვა ადამიანი
შეიძინა - წყნარი, აუღელვებელი და იმა-
ვდროულად გამჭვირადი და წინდახედულიც.

ცხოვრებაში ვის არ შეგვხვდებოდა
ასოკირკიტა, გონებამოქნილი და ჭყის-
კოლოფა ადამიანები. ისინი უზომო ცნო-

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

არავისაც არაფერს არ ვეტყვი! აი, ასე! არ
გავხდები ეგოისტი, არ მოვპარავ და არა-
ვის ნავართმევ სიამოვნების ნუთებს!

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

ან რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა,
სისხარული დავეთანხმე და ერთმანეთს
დათქმულ დროზე ც შევხვდით. კახა თავის

პეპლისტიკა

თემურ ჯულაყიძე

რაიონული სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე პედაგოგმა შურაევამ ჩემი ნიგნი „მომავლის საქართველო“ შეფარვით, მორიდებით გამოაჩინა, ისე, როგორც ზღარბი სიფრთხილით გამოყოფს თავს ეკლიანი, ნაცრისფერი სამოსიდან. იქნებ ნიგნის წინა ყდაზე გამოხატულმა საქართველოს სილუეტმა, ცისფერად რკალში აცისკრონებულმა აღმაშენებლის ივერიამ გაუთბო გაციებულ გული და გონება! იქნებ მის სულში გაიფანტა შურის თაღები და ჟამი სინანულისა დაუდგა!

ეს ნამიერი კეთილშობილური ფიქრი გაზაფხულის ცისარტყელასავით გაქრა...

- პატივცემული მოსამართლეე, აი, ამ ნიგნს ჰყიდა ბატონი თემურაზი!

რა მოკრძალებით იხმარა სიტყვა „ბატონი“, არადა უმორწყალოდ, მონასავით გდევნიან ღირსეულ პედაგოგს დინოზავრებისგან გაგულისებული რწყილები, მხოლოდ იმიტომ, რომ უსამართლობას, შერჩევით სამართალს, პედაგოგის, მოსწავლის, მოძობის დამცირებას, შეურაცხყოფას არ პატიობს მახინჯი სასკოლო რეჟიმის მონანიღე პედაგოგებს „პანია დიქტატორთან“ ერთად!

შურაევას უმალ ხელში გაუშეშდა ფერადყვანილი ჩემი ნიგნი „მომავლის საქართველო“ და ისევ მაგ ჩანთაში ჩააცურა, რადგან მოსამართლემ შეგნებულად ყურადღება არ მიაქცია.

სწორედ იმ წუთს თვალწინ წარმოვიგდეს სასკოლო ცხოვრების მორიგი კურიონი, მრავალჯერა ნანახი:

- სამასწავლებლის გრძელი მაგიდა სავაჭო დახლად ქცეულა! შურაეა და მისი კოლეგები - დაფასებული, დანაყრებული პედაგოგები ატასგვარ საცვლებს, თეთრუღს, იაფფასიან სამკაულებს გამოიღვენ ხე-მთარჯვე დახლიდარივით, ააჩხრიალებდნენ ვერცხლეულს, ხშირად გარე მოვაჭრეებიც გამოივიდნენ მათთვის ფართოდ გაღებულ სკოლის კარებში... „ხამს სტუმარი სასურველი მასპინძელი მხიარული“, შოთას სიტყვები უმალ გაგახსენდებოდა, თუმცა არასასურველ მასპინძელს, სიმართლისათვის, ღირსებისათვის მებრძოლ პედაგოგს ბიჯსაც არ შემოადგემიენებდნენ კარის ზღურძლზე, სწორედ მაშინ გააძლიერებდნენ დაცვას „მანდა ტურებით“ ანუ მანდატურებით, დარაჯებით, დამლაგებლებით და ამ საქმისათვის „შერწყული სმენიანების“, ჭიანჭყელა ცერ შემოძვრებოდა და ვერც მერცხალი გადაიფრენდა სკოლის თავზე.

ამ ყოფაში ვამხნეებდი ღირსეულ მოსწავლე-ახალგაზრდობას, ვარწმუნებდი: გახსოვდეთ! ათას უმართლოს აჯობებს ერთი მართალი! გაზაფხულისთვის მერცხალმა ჩამოიტოვა ზამთარი! შეიძლება ერთმა მერცხალმა გაზაფხული ვერ მოიყვანოს, მაგრამ თავად გაზაფხუ, სწორედ მაშინღი უთუოდ შემოაფრენს ჩვენს ცხოვრებაში მერცხლები! ღვთის ვარსებლები, იმედის ნიშნად, ვერებად მოუფინება ცის კარბანში! ფიქრებით ისევ რეალობას დაფუბრუნდი: სუნელებისა და სუნამოების სურნელმა დაისადგურებდა ხოლმე თითქმის დაცარიებული სამასწავლებლოში, სწორედ მაშინ გადაიწყებოდა კანცელარებიდან დროებით გადმოგრძანებული „გავლენიანი პედაგოგებით“, დაფარავდნენ ნახევრად გადატყავებული სკამების საჯღმეებს, მაშინ წუთით შეწყვებოდა პროვოკაციების, ცილისწამებისა და შანტაჟების დაგეგმარება.

ერთხელ, როცა ვენახში დავიმართლობე, სხვათაგანის ვუთხარი, თქვენი დაშორება დიდი საცოდარობა იყო, ამ სიკვდილს სამართალი არ ჰქონია-მეთქი.. ამოიხრა და არაფერი მითხრა. არადა, ვიცი, რომ რაღაცის თქმა სურდა. უკვე ნამოზრდილი ვიყავი, კაცის მონაყოლისაგან შესაბამისი აზრის გამოტანა და დასკვნის გაკეთება შემეძლო.

- მე, როცა ფერმის გამგედ ვმუშაობდი, ჩვეთან ერთი ვეტერინარი დადიოდა ქალაქიდან, თალიკო. ახალი დანიშნული ვიყავი და საქმეში გამოცდილება მაკლდა. ეს თალიკო, რაიკომის მდივანის ბიძაშვილი იყო. მიწოდდა, რომ ჩვენი ფერმა რაიონში მონინავე ყოფილიყო, ამიტომაც თავს არ ვიზოგავდი, ოჯახს ახალი მოკიდებული ვიყავი, მაგრამ დღე და ღამე სამსახურში ვიყავი. ყველა ხბოს შობა, საკვების ჩარიგება, ნველა და მთელი სამუშაო პროცესები ჩემ თვალნი მიდიოდა განუწყვეტილებ. ეს უქმარშვილო ვეტერინარიც დღე და ღამე გვერდში მედგა, სახლში არ მიდიოდა, ფერმაშივე გამოყოფილ კაბინეტში რჩებოდა... პერიოდულად, სამივე ბავშვს თავშალეში გამოხევედა ბებიაშენი და ფერმაში ჩამომაკითხავდა, ტილოში გახვეულ ცხელ კეცის მჭაღს, ლობიოს და კეჟურა ფხალის მუჟავს მომიტანდა; მისი ხელით მოყვანილ და დაწურული ცოლიკაურის ღვინოს მოაყოლებდა სამლიტრიანი დოჭით... მხარში დგომა მისი მქონდა თუ მქონდა, უნდაოდა, რომ ფერმის საქმეზე ისე გამემართა, რომ დაფასებული კაცი გავმხდარიყავი რაიონის ყველა კოლექტივისთვის; ქვეყანას ელაპარაკა ჩემზე, გაზეთებს დაენერა...

მეც ვიმნობდი ამ მზრუნველობას; განა მართლა ამდენად დაკავებული ვიყავი სამსახურში... განა, მართლა ამდენ დროსა და ზრუნვას მოითხოვდა ეს საქმე ჩემგან?

- არა, მაგრამ თავს ვარიდებდი შვილების აღზრდას, საოჯახო საზრუნავს, ნისქვილზე ნასვლას, შვილების სასკოლო დავალების მომზადებაში დახმარებას, გასარეცხი წყლების ზიდვასა თუ ოჯახის გასათბობი შემის ჩეხვას...

თალიკოს კაბინეტში სულ უფრო გვიანამდე ვრჩებოდი. ბებიაშენი ჩემს კაბინეტში რომ ვერ მიპოვნიდა, მჭადი არ გაუცივდესო და იქ მომართმევდა, თალიკოსთან. მას ხათრიოთა და კდემით მოიკითხავდა, თავშალს გაისნორებდა და სწრაფად წაასხამდა ბავშვებს სახლში. ჩემთან ერთად გულმოდგინედ ჩაება თალიკო ფერმის მოვლა-შენახვის საქმეში და ნლით-ნლობამდე სულ უფრო უკეთესი შედეგები გვექონდა. პრემია და ხელფასი რაიონის თუ ცენტრალური ხელისუფლების მესვეურების რესტორნებში მასპინძლობას უნდებოდა, სახლისთვის არაფერი მრჩებოდა, მაგრამ სამაგიეროდ - წარმატებული ამხანაგი ვიყავი.

მართლა ბედნიერი წლები, ის წლები იყო, თავს მეფესავით ვგრძნობდი. დრო გადიოდა და შვილები, თითქოს თავისით იზრდებოდნენ; არც მათი ბავშვობა გამიგია, არც მათი აღზრდა და ავადმყოფობა. არც ოჯახის მოძიება, არც ეზოს დაბარვა თუ სიმინდის ნალიში ჩაყრა. ამას, ყველაფერს, ბებიაშენი აკეთებდა წარბეშებულად, დაუმაღლებლად, ხმაამოუღებლად. ერთი საყვადურიც არ დასცდენია ჩემზე.

ერთ საღამოს მოვიდა ფერმაში დალონებული. ბავშვები არ ახლდნენ თან, უკვე დიდი ბიჭები იყვნენ და სახლში მარტოდ დარჩენისა არ ეშინოდათ.

- რა იყო, ქალი, რავა ჩამოგატირის სახე - შევხიბით თუ და ლოყავი ვურქმეტივ.
- არ ვარ კარკათ.
- რა გჭირს ამ ახალგაზრდა ქალს?
- რავიცი. ექიმთან ვიყავი და...
- ექიმთან? - რავა გტკივა რამე თუ?
- რაცა მუცელზე ვიბებები და...
- ეე-ჰეე-ჰე-ჰე - ვადავიხარხარე მე. შენ რაცხას ეშმაკო! - წავიარტისტე.
- ვეშმაკობ კიარა... - გაიხედა გვერდზე და სიმწრის ღიმილი თავშალში ჩამალა.
- მერე რა გითხრა ექიმმა?, დაჯექი რავა ფეხზე დამდგარხარ?! - ფეხით ვცადე ცარიელი სკამის მიბრუნება მისკენ, მაგრამ წაიქცა სკამი და ტერფზე დაეცა. სახე მთლად დაეღმიჭა, მწარე კვნესა აღმოხდა და სასწრაფოდ მიიფარა პირზე თავშალი. წამოვხტი, მოვუბოდიშე, მოვეხვიე. მიუცხოვასავით. ტკივილისგან ხელები უკანკალებდა.
- წამლები დაგინიშნა? რის ბრალიაო, რა გითხრა?
- კი დამინიშნა. ესენი დალიე და ვნახოთო. შეგუთვალე ჩემ დას - ზოიას, ავადალალი და მოდი რამდენიმე დღე, თუ ქალი ხარ, საოჯახო საქმეებში მიეშველე-მეთქი. მეორე საღამოს ზოია მოვიდა ფერმაში.
- აქ რა სიკვდილი და კუბო გინდა? - მეცა გამწარებული. მისი გაზრდილი ვიყავი, 12 წლით უფროსი იყო ჩემზე, ენის შებრუნებას ვერ ვუბედავდი პატარაობიდანვე.
- რამ გადაგვარია, გოგო, ვმუშაობ.
- რა დროს მუშაობა ავტყვდა, ოჯახი თავზე გემხოვა!- მითხრა მე და ფანჯარასთან ჩავლიდი თალიკოს ჩასისხლიანებული თვალები ჩაასო ზურგში.
- რატომ მემხოვა? - ვერ მივხვდი.
- ლალი გლახათაა!
- ვიცი, აბა, შენ რაზე შემოგივლიდი ჩამოსვლას?
- ძან გლახათაა!
- დალევს წამლებს, ნუ აანრიალე ყველაფერი...
- აზრი არ აქ! ექიმს უთქვია გათხოვილი თუ ხარო.
- კაცია ექიმი? - დავეკარჭლე თვალები მე.
- კი, კაცია! - გაშლილი ხელი დაარტყა მაგიდას, - გათხოვილი თუ ხართ ქალბატონო, თქვენი მეუღლე სახლში არ იყო? ერთად რომ გეცხოვრათ, ეს არ დაგემართებოდაო. იმედა, დაგვიანებული არ არისო.
- ისხენებდა და ჭიგოებს უცვლიდა ვაზებს, ბაბუა.
- "ნეტავი დაგვიანებული არ ყოფილიყო" - დანანებით გადაიქნია თავი.
- "ვაზი ქალივითაა, ბაბუ, თუ საყრდენი ჭიგო არ უყარავი, დასუსტდება, იპოჟინებს და მოქარდებაო"...



ბორის მიშველაძე — 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ბორის ავქსენტის ძე მიშველაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ბატონო ბორის!**  
 ძვირფასო კოლეგა!  
 საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის კოლორიტულ წარმომადგენელს, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს.

ფართო საზოგადოება თქვენ გიცნობთ, უპირველესად, როგორც თვალსაჩინო მეცნიერს, რომლის ინტერესების სფეროში მოექცა როგორც ზოგადი ფიზიკა, ისე უმაღლესი მათემატიკა, ბიოფიზიკა, თეორიული მექანიკა, თანამედროვე ბუნებისმეტყველების კონცეფციები. 70-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომის ავტორი ხართ, გამოცემული გაქვთ ხუთი სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, მათ შორის, საქართველოში პირველი სახელმძღვანელო საგანში „თანამედროვე ბუნებისმეტყველების კონცეფციები“. თქვენმა საკანდიდატო (1975 წ.) და სადოქტორო (1982 წ.) დისერტაციებმა დიდი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჰიდრომეტეოროლოგიის კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-მუშაკად, განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ, საქართველოს აგრარ-

ული უნივერსიტეტის პროფესორად და ამავე უნივერსიტეტის მართვის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორად, დიდი ილია ვეკუას მიერ დაარსებული ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ლექტორად. ლექციებს კითხულობდით თურქეთში, გერმანიაში, ბულგარეთში, საბერძნეთში... თქვენ, ფიზიკა-მეთემ-ატიკის მეცნიერების და პროფესორი, არჩეული ხართ რამდენიმე საერთაშორისო აკადემიის წევრად, მათ შორის ისეთებისა, როგორიცაა აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემია და ევროკავშირის მეცნიერთა და მეცნიერების პოპულარიზატორთა კავშირი — Vლშჩჩჩ; აგრეთვე რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრად. მონაწილეობდით არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და სიმპოზიუმში. ავირჩიეს ათენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

თქვენს კოლეგებს გვახარებს, რომ ასეთი მასშტაბური მეცნიერი ჩვენი სამწერლო ოჯახის წევრი ბრძანდებით. თქვენი სამწერლო ნათლობა ხომ 1980 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „პიონერში“ გამოაქვეყნეთ პირველი მოთხრობა „სამასმეფეთე“. დებოუტი ფეხბედნიერი გამოდგა და ამ მოთხრობამ ამავე ჟურნალის მიერ გამოცხადებულ კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა. მას შემდეგ თქვენი მოთხრობები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალებში, გამოცემის ცალკე ნიგნებად.

ქართველი მკითხველი ინტერესით ეცნობა თქვენს ისეთ ნიგნებს, როგორიცაა „გზა კეთილი“, „ლიტერატურული ნაბიჯები“, „ცამეტი წამი აფეთქებამდე“... ინტერესი კი იმან განაპირობა, რომ ამ კრებულებში შესული მოთხრობები მწერლობის ისეთ ურთულეს ჟანრს განეკუთვნება, როგორიცაა ფანტასტიკური ლიტერატურა. ამ მოთხრობების ავტორის ფართო თვალსაწიერი, ტექნიკური განათლება, ჩინებული ქართული მათი წარმანების გარანტიად იქცა... თქვენი მრავალწლიანი სამეცნიერო და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა ღირსების ორდენით აღინიშნა. ბატონო ბორის!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ მწერალსა და მეცნიერს, ვისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

**მზია მექერიშვილი**  
**მელიას ნარილი**

მელამ ქათამს მისწერა,  
 მეკვედ გელი ახალ წელსო,  
 წყენა აღარ გავისხენოთ,  
 აღარც შენ და აღარც - მეო.

დაქალბეც მოიყვანე,  
 სიმინდ-ხორბლით აგავსებოთ,  
 გითამადაებო, მოვილიხნოთ,  
 ალალ მე და ალალ თქვენო.

გგონია, რომ სული წამძლევს  
 და პირობას დავარღვევო?  
 დაქალბემა იდარდონ და  
 შენ აუგს არ გაკადრებო.

პასუხმაც არ დააყოვნა,  
 თურმე, როგორ მაფასებო!  
 ჩვენს ქოფაკსაც წამოვიყვან,  
 ნანყენი რომ არ დავგრჩესო.

**ყვავის ქორნილი**

შეყვარებულ ყვანჩალას  
 ინუნება ბუღბული,  
 იეშმაკა მელიამ,  
 შეუღება ბუმბული.

საქმე კარგად წავიდა,  
 მაგრამ ჯიშმა აცალა?!  
 „ლამაზ“ სიძეს ქორნილიში  
 უცებ წამოაჩხავლა:

„ მელამ მტრედს დამამგვანა,  
 დაგიბრმავეთ თვალები,  
 გვერდს მიმშენებებს ბუღბული,  
 ჩემი სათაყვანები!“

აეფოფრენენ ჩიტები,  
 „უფურებად ჩავვთვალე?!  
 ობოლი გამოგ ზარდეთ,  
 ბრიყვო, ეს რა გვაკადრე?!“

ნანინანატრი ქორნილი,  
 რა თქმა უნდა, ჩაიშალა;  
 სისხამ დილით შერცხვნილი  
 ყვავი ტყიდან გაიპარა.



საბა გოგოლაძე

ლეგენდას ვეტრფიალები

მე არ ვერთობი სტროფების წერით და არც ჩემს გრძობებს ვქარავ უაზროდ, მე არ მოველი ქება - დიდებას და არც ლექსებით გაფრენას ვლამობ. მე ნუგეშის ხელს ღმერთთან ვთხოვლობ და გულის ფიქრებს არ ვახვევ ვინმეს, მე ტრავმადია არა მნადია და არც გრძობებით ნამებას ვითმენ. მე მათხოვარში ვხედავ მაცხოვარს და ვეკითხები ასე რატომ ჩანს, მე ტრავმადიას ვხედავ ქუჩებში და მათხოვრობას ბოლოც არ უჩანს. ვერ ვეგუები ანმყოს მორჩილად და იმ ლეგენდას მივუძღვნი ოდას, სადაც სიყვარულს მადლი ედება და ტრფობის ცეცხლი არა გაქვს მოდას. მე იმ ლეგენდას ვეტრფიალები, სადაც ქართველი ხარობს ნატვრულად, იმ საქართველოს ვლანდავ ოცნებით, სადაც ქვეყანა დარობს დარულად. მე ლექსად ვაფრენ თხოვნას ზეცაში, რომ მოიქარგოს აკვანში გული, ლეგენდად ტბებში ყრმა იზრდებოდეს და ირწოდეს ქართული სული. სიყვარულს ვნატრობ ზედ გაშენებულს და ჩემს ქვეყანას თან დამშვენებულს, მინდა ვხედავდე გაფურჩქნულ ქართველს და ზეცის მადლით ბრჭღვილა მთა-ველს. მე არ ვნატროვლობ მასხავდენენ ხოტბას და არც გვირგვინად მადევს ნათელი, იმ მიდამოში მსურს ჩავიკარგო, სადაც სიბნელეს თავს ჭრის სანთელი. ყველა ლეგენდას ვეტრფიალები, სადაც სიყვარულს ბალადა ეძღვნება, ყველა იმ ადგილს ვნატროვლობ გულით, სადაც ქვეყანას ნალკოტი ედება.

კესანა (არ ღამივიწყო)

თვალს მოგტაცებენ მთების ექსტაზები, უფრო ლურჯები და ცაზე ლამაზები, სულში შემოდიან, ველარც ვეკარები, როგორ დაივინყე ჩემი კესანები. ქროლვით დაედება ქარის ტრფიალები, მე კი არ მეღირსა სულის ნიავეები, თითქოს მძინარეა, შენი სინაზეა, მინდა დავიკონო, ეს ხომ კესანეა. თითქოს ჩამოუდგამთ ზეცის ვენახები, დაუკრეფავია ლურჯი ადესებიც, ვიდრე საფირები, უფრო ელვარეა, გთხოვ არ დამივიწყო, ეს ხომ კესანეა. მტვენად მობნეულა ლურჯი ვარსკვლავები, ზეცის ნყურვილები, თვალის საკლავები, ისე ველურები, მთების ავაზები, გთხოვ არ დავივიწყო ჩემი კესანები. ისევე გველოდება და შენც ინაზები, ლურჯი ფაზები და ტრფობის დარბაზები, სულში შემოდიან, ველარც ვეკარები, როგორ დაივინყე ჩემი კესანები.

შენი ზმანება

სიზმრად მოხვედი, ცის გუმბათიდან თითქოს დაეშვი, ტრფობის სიღრმეში, ჩანჩქერივით სვეტად ჩაეშვი, სუნთქვაში გული როგორც კოცონი, ცეცხლში ჩაენთო, გრძობის მწვერვალთან ჩაფერფლილი სულიც აენთო. რძისფერ კანზე თხელი ღრუბელი ნაზად გეფინა, მთის გვირილებში ამოქარგული სიო გეხვია, ნატიფ სხეულს თეთრ სამოსში მკრთალად ლანდავდი და შენ სურნელში გახვეული აზრებს ვკარგავდი. შენი ღიმილი ზეცას სხივებით მოუხატია, ამ ზღაპრულ ღიმილს გული ჩემი მოუტაცია, თითქოს გაზაფხულს შენი თვალები მოუპარია და შენ თვალებს ჩემი ოცნებაც თანწაულია. სიზმრების ზღვარზე ვცდილობ ჩაგიკრა, ზმანებაც ქრება, ხელით გეხები და ვერ ვახერხებ, ხრიოკი დგება, ფიქრმა იფხიზლა, მღვრიე თვალებს კვლავ სიზმრად ითრევს და ამ ფიქრებში შენი ღიმილი კვლავ ზღაპრად მითრევს.

გუმბათის ოცნება

მე თავხედი ვარ, რადგან მგოსნად ავიდგი ენა, უტიფარი ვარ, რადგან ჩიტივით გავაბი სტვენა, ყვავის ბახალამ, თეთრი ბუმბულით გავბედე წერა და ყორანივით ბულბულის ბუდეც ვესროლე ბგერა. ფაქიზ ოცნებებს, როგორც გლახაკმა ჩაეჭიდე ბრჭყალი, ნატიფ ღრუბლებსაც შევაპარე კუპრივით თვალი, კოჭლი ფეხებით მსურს დავიპყრო ლურჯთვალა მთები, მუქი ძოძვებით წმინდა წყლებში ვინამო ფრთები. გიშრისფერ ლოდს მე მივაკერე ბუმბული ჩემი, უკიდევანო ზღვას გაავაყოლე ნახშირის ბემი, ფიქრებში ისევ, რეკვიემს უკრავს ტალღები გრძელი და ზღვის ბოლოში ლანდად მოჩანს ედემის თხემი. შავი ბუმბული ლოდს მიაფრენს გაავებული, ფიქრებით ლანდავს, ლაჟვარდშია ღრმად გახვეული, ცის გუმბათში ჩაიძირა ფრთებიც აშალა და მის მორევში ნაზი ოცნება თეთრად გაშალა. მთვარე ოცნებობს და მის ლანდებს მზის სხივი ათბობს, ღამესაც უყვარს, დღის ფიქრებში სიბნელეც ნათობს, მთვარეს გაყრა სურს სიბნელესთან, დიდებულება, შავი ბუმბულიც ლოდს მიაფრენს, ანთებულება.



რედაქტორისაგან

მრავალმხრივი მუზის წყალობით დ საკუთარი შესაძლებლობების, ინტელექტის, განათლების, გონიერების, იუმორის, მტკიცე, მძლე ხასიათის, ვაჟა-ფშაველასეული „კაი ყმობის“ ჰარმონიულობით დაინერა ეს წიგნი უცხო ქვეყანაში, ემიგრაციაში, რიგით მეხუთე - „ღვთის მოძებული საჩუქარი“, მანამდე კი იყო „გამარჯობა, ელადა“, ემიგრანტის თეატრი“, „შორია საქართველომდე“, „ერთი სიცოცხლე რომ მქონდეს კიდევ“.

ამ წიგნების ავტორი მირიან ზალოშვილი კასპის მუნიციპალიტეტიდან არის. 10 წლისას გარდაცვლია მამა. დედის კალთას ადევნებული პატარა ძმები თავიდანვე შეეჩვივნენ შრომას და ობლის ხვედრიც გაითავისეს. ყმანვილობაში ბიძიას ნაუყვანია რუსთავში სამუშაოდ, მაგრამ ცეცხლი თივაში დაიძალა? თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული მაშინდელ ლენინგრადის თეატრალურ ინსტიტუტში ჩაირიცხა. მსახიობი და რეჟისორი ათეული წლები მოღვაწეობდა რუსთავში, შემდეგ ემიგრაციაში წავიდა მუშაობისათვის ერთად. ემიგრაცია მისი ცხოვრების გოლგოთა კი არა, უფლის გამოცდაა. მან ეს გამოცდა რაინდულად ჩააბარა.

რაინდობა დიდ საქმეს, დიდ გულს, ღირსეულ დესპანობას, აღმატებულ მორალურ პასუხისმგებლობას მოიცავს ქვეყნის, გარშემომყოფთა წინაშე. ადამიანებთან ფაქიზ, კეთილ, თავდადებულ, პატიოსან, გულწრფელ, საქმიან დამოკიდებულებას ყველა ვერ უძლებს ემიგრაციაში, „სადაცა ვერვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული...“

მე-17 წელია ემიგრაციაშია და რა არ ნახა, რა არ გაიგონა, რა არ დაინახა საკუთარი თვალებით, მაგრამ „რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილნთ არ შევეკვი ზავითაო“, გულის ფიცარზე დაინერა და სამაგალითოდ იცხოვრა, სხვებსაც კაცობის მაგალითი უჩვენა...

მას ორი ცხოვრება აქვს, თითქოს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული. ტურისტული ოფისი „თბილისი-ტური“ და შემოქმედებითი წვა და ოჯახი, კარგი შვილები - გიორგი და დავითი... მათზე ფიქრი და მონატერბა... პატარა შვილიშვილების სოციალური ქსელით მოსიყვარულება.

„თბილის-ტურში“ სხვადასხვა ერის, რასის, რწმენის, ხასიათის, პროფესიის ადამიანს ემსახურება ისე, წუთით რომ ვერ ჩამოჯდება უქმად... სახლში მიბრუნებული კი თეთრ ფურცლებს

უხმობს, ან კომპიუტერს მიუჯდება და წერს მოთხრობებს, ნოველებს, ლექსებს; საგაზეთო წერილებს ასწორებს, ახარისხებს საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადასათვის“, რომლის რედაქტორობა, ენთუზიაზმზე დაფუძნებული, სიხარულს ანიჭებს უფრო მეტად იმიტომ, რომ ეს გაზეთი ემიგრანტის ყოფას უიოლებს ათასობით სევდიან ქართველს... მათ ვერ უღალატებს, ვერ გადასდებს მათ საქმეს... ზოგჯერ კი „სახლშიც“ ვერ ბრუნდება, ოფისიდან პირდაპირ ქართულ თეატრალურ სტუდიაში მიიჩქარის რეპეტიციაზე, რომ ისევე ემიგრანტებისათვის ითამაშოს სცენაზე, მაყურებლის გულთამბყრობელმა...

ქართველისათვის ქართული წიგნი ქართული ეროვნული სულის კეთილი საკვებია, ძალაა, გაძლების ელექსირია, მით უმეტეს, ემიგრაციაში, ყველაფერ ქართულს დანატრებული მკითხველისთვის. მირიან ზალოშვილის შემოქმედება მთლიანად სახალხო, ადვილად გასაგები და აღსაქმელია; თითქოს შენ გადაგხდა, თითქოს შენეულია, მაგრამ განზოგადებული, საკაცობრიო...

„მწერალი თავისი ერის მაჯისცემის მუდმივ ფხიზელი ყურისმგდებია, რომ მწუხარების ჟამს უჭირისუფლოს. ავადმყოფობისას უმკურნალოს, ხოლო ბრძოლის დროს მენიწავე მედროშის მოვალეობა აღასრულოს...“ მირიან ზალოშვილი არაფერს ატანს დროთა დინებას, ყველა მოვლენის რეალურ სურათს (განსაკუთრებით ემიგრაციაში) გულისგულში ინახავს და ლიტერატურულად დამუშავებულს, ულამაზეს მოთხრობად აწვდის მკითხველს საბერძნეთშიც და საქართველოშიც... ამ მოთხრობებს დრო ვერ გააფერმკრთალებს, რადგან 21-ე საუკუნეში ძალიან დიდი და ფართო მასშტაბები შეიძინა ემიგრაციამ რიცხოვრივადაც და, სამწუხაროდ, ქვეყნიდან უნიჭიერესი ადამიანები წავიდნენ, გაერიდნენ ქვეყანაში გამეფებულ ურთიერთდაპირისპირებას, გათითოკაცებას და წლების მერე უძნელდებათ გადაწყვეტილების უცბად მიღება სამშობლოში დაბრუნებისა... ასე იყო, წარსული საუკუნეებიდან მოყოლებული... ქართული ლიტერატურის საგანძურის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში ინერებოდა, იქმნებოდა განძი ეროვნული სულიერებისა, რომელიც საუკუნეებს უძლებდა...

ეს წიგნიც გაუძლებს დროს... ეს წიგნი ემიგრაციის სარკეა თავისი სევდა-წუხილით, პრობლემებით, სიხარულით, ქარტყილებით, ნოსტალგიით... წიგნის ავტორი მირიან ზალოშვილი - მწერალი, პოეტი, მსახიობი, რეჟისორი და, რაც მთავარია, რაინდი და ღირსეული დესპანი ჩვენი სამშობლოსი, თავისი შემოქმედებით შეგვახსენებს უმთავრესს - გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, ვუპატრონოთ, გაუფრთხილდეთ, დავიცვათ ქართველობა და ვიამაყოთ ქართველობით.

ანა ყურშიაშვილი

საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადას“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

მირიან ზალოშვილი

\*\*\*

ჩვენი სურვილით ვამბობდით არას, ჩვენი სურვილით ვიძახდით ჰო-საც, ჩვენი სურვილით, ოჯახებისთვის გადავუსწარიტ უამსაც და დროსაც...

ჩვენი სურვილით ვირჩევდით ფერებს, ჩვენი სურვილით ვქარგეთ ბუნებაც, ჩვენი სურვილით დავტოვეთ სახლი, შევებოთ მძიმე ემიგრაციას.

ქარის სურვილზე ღრიალებს ზღვა და ქარის სურვილზე თრთიან ნისლები, ისე გაგვტყუა ცხოვრებამ, ვფიქრობ, სხვისი სურვილით გარდავიცვლებით.

სხვისი სურვილით ვათენ-ვალამებთ და სხვის ხუმტურებს ვასრულებთ უმალ, ჩვენ საკუთარი ფიქრი გვაქვს მხოლოდ, გულდაგულვამალავთჩვენს სველსასთუმალს.

იქნებ შემოვკრათ განგაშის ზარი, მოვუხმოთ რაშებს, შლეგსა და ყორნალს, შინ გაგვაჭენონ, თქვენი ჭირიმე, გვეყო ამდენ ხანს სხვის კარზე ყოფნა.

დედებმა კვლავაც ზარდეთ ყრმანი და კერას მიხედეთ, საკუთარ ქმარ-შვილს, გაუცხოებულ ოჯახის წევრებს - ჩვენს მოლოდინში უკვე დამამვრალს...

ლალი ლაზაშვილი

\*\*\*

ასე რომ კაშკაშებს ღვთისმშობლის კვართია,

ფრესკიდან მიმზერენ კამკამა თვალეები, ასეთი თვალეები ჯერ არსად მინახავს, შენს სახეს, შენს ღიმილს, დედაო მარიამ, ვეტრფი და სათუთად ამ გულში ვინახავ. ვიცი, რომ ცხოვრებამ რა აღარ გარგუნა, სევდით და ცრემლებით სად აღარ იარე, შვილისთვის გარბოდი, რომ გადაგერჩინა და თავად ის შვილი, გვიშუშებს იარებს... ეგ შენი ღიმილი ზეცათა ფერია, ეს ხიბლი შენშია, ეს მითი როდია, მე როცა ხატებთან გალობა მინდებო, ანგელოზები ზეციდან მოდიან...

დღეს ჩემს საქართველოს სჭირდები ძალიან, მოგვხედე, დედაო, მოგვხედე, მაღლია, გავრბივარ სიზმრებში, სიზმრებშიც გეძახი, ღვთისმშობელ მარიამ! ღვთისმშობელ მარიამ!..

ახლაც მეჩვენება, ვილაცა ჩამძახის, გახედე, ზეცაზე რა ცეცხლი ანთია, ფიქრიდან ვერკვევი, ვდგები და

ვყვირივარ, ასე რომ კაშკაშებს ღვთისმშობლის კვართია!

ნელი (ნენო) სანებლიძე

ჩემი სამყარო...

როგორ მიყვარს სიმშვიდეში, როგორ.. სამყაროა გადაშლილი, შორით.. ფრენს და ისე, მეგებება დილა, თითქოს სულში, გაზაფხული მოდის.. აღელდება ზღვის ტალღები, ფიქრში.. მოვარდება მერე რალაც შიში.. მოგონება წარსულ დღეთა, მტკივა.. გული სითბოს, მაინც ვერ მოიშლის.. როგორ მიყვარს ეს სამყარო, როგორ.. ფიქრით, რიდით და განცდებით,

ვცხოვრობ..

ვერ ველევი... თანაც სევდას ვატყობ... მუზა მიხმობს - ვერ ვატოვებ მარტო... რატოო? ზეციური მისტერია, მანდობს...

ლია მუმლაძე

ლუკას, სიცოცხლით სახსა ახალგაზრდას

მწვანე სკოლას სისხლი დასდის ახლა, სისხლში ცურავს... და სამართალს ითხოვს. იქ აღარ ჩანს ლუკას განაჩენი... ცხოვრებაზე, რომ დანერა თვითონ. აღზრდის ნაცვლად შენ იქ გაბოროტდი გულკეთილო და... ობოლო ბიჭო, უფალი არ მიგატოვებს ვიცი, შეგიფარებს, გიპატრონებს თვითონ! მაგრამ ვაი, აქ დამრჩენთა ბრალი უფლის რომ არ ეშინიათ თითქოს.

ხათუნა (ხატია) თეთრაძე

აჭარას

წვიმად იფრქვევა ბუღბუღლის ცრემლი, დანისლულია აჭარის მხარე. მაინც ლამაზი, ზღაპრული ეშხით, რა ლამაზი ხარ, შენ გენაცვალე!

ზეცა გვიგზავნის ციურ მანანას, მინა გაფუვდა ღვთიური ხარკით. მხარეს კურთხეულს ღიმილით ვუმზერ, ღმერთმა გიმრავლოს მრწველი აკვნის.

ჩემო აჭარავ, ფუძქდიერო, მიჭირს, რომ არ ვთქვა შენზე სათქმელი. კურთხეულ იყავ შენი ბუნებით, ღმერთმა ამრავლოს თქვენში ქართველი!

ნინო უძილაური

„ახლა როცა ვნარ“

ახლა როცა ამ სტრიქონს ვნერ, გალაკტიონს ლანდად ვხედავ, ათამაშებს ლომურ წვერს და ლექსის წერას ველარ ვბედავ.

ცის გუმბათზე დიდ ილიას დაუნთია კელაპტარი, კვლავ დამოძღვროს ერი მისი, ჩემი ლექსი ჯერ არც არი.

მთისკენ მივბრუნდები ფშავლის თვალი, ვაჟა შვლის ნუკრს ეფერება, დაჭრილ არწივს კვლავ მალამოდ მისი ლექსი ეფინება.

და აკაკის ჩემს ჩონგურის ტკბილ ხმაზე რომ ელიმება, ცას ფირუსს და ზურმუხტ ხმელეთს მისი ლექსით ეღვიძება.

ტიციანს და ლეონიძეს, კიდევ მრავალთ მთაწმინდაზე, დასამოძღვრად რაც მოგვიძღვნეს, მიტომ სძინავთ მთად წმინდაზე.

ბუნებაა ქართველისა, ლექსად მოდის ნაუბარი, სიყვარულით გული რომ ძგერს, რითმში დგება საუბარი.

ახლა როცა ამ სტრიქონს ვნერ, მორცხვად გული მეკუმშება, ლექსის იქით მეც ველარ ვძლებ, გრძნობაც ლექსად მეუფლება.

ისტორია გადაფურცლავს კიდევ ერთხელ და ათასჯერ, ჩემს ნაფიქრალს, მეც თუ დავენერ, გინდ იკითხეთ, გინდ განსაჯეთ.

მზია აკობია

მხოლოდ ასე თუ ვიზრუნებთ

ისევ ისე აირია ეს ტანჯული ქვეყანა, ზოგჯერ ისიც მიფიქრია, მოგვიბრუნდა ქვის ხანა! გაიხედავ, თითქმის ყველგან უსიყვარულობაა! მტაცებლობა - მგლობაა და ცილისმწამებლობაა! დაიკარგა ნდობა, მოხდა, რაც ეშმაკმა ინება! ვიცი, უკვე სულგრძელობაც სისულელედ ითვლება. უხარიათ დღეს უღირსებს, მოციქულებს სატანის... არ დავზარდეთ გზას უფლისკენ ლოცვით, მარხვით ცად ასვლის! ასეთ ქაოსს და შავ ღრუბლებს მიმოვფანტავთ ღვანლით ღვთისთვის... მხოლოდ ასე თუ ვიზრუნებთ, მშვიდობიან მომავლისთვის.

თამარ ფარჩუკიძე

მუხრანელი დედაკაცის თქმული

„აქეთ მე ვკვდები, იქით ის, ქალი ნავიდა სხვისასა.“ ხალხური „ცოლი რო სხვაგან ნავიდა, რო გახდა დუშმანისა“ გოდერძი ჩოხელი

„სხვისას“ არ ნაველ, ვერ ნაველ, ვეფარე ქალის მუხასა, დიაცებრ გეკრძალებოდით, მრწემად გაზრდილი მუხრანსა. ყვავილთ გვიკმევდნენ ტყემლები, გვწუნდა აპრილი სამთავეს, თქვენ სისხლით, მე კი ცრემლებით, სიცოცხლე ჩამოვათავეთ. ვაჰ, რად არ დავწვდი სატევარს, მტლად დაგვებოდი ეგება, ანდა, მომსკდარი სიკვდილი, მეც შენთან ერთად მეგემა. მაღლი მის გამჩენს, ყივჩაღნი, ქრისტეს შესძინა რომელმან, მაგრამ, მიიზლო საკადრი, რჯულის დარღვევის მდომელმა. ისიც ხომ დაეც, მიაკალ, ავხორცი თავის ვნებასა, ...მაინც დავფალი, სხვაგვარად, შენც არ მომცემდი ნებასა. ვაჟკაცი იყავ, გიმაღლი, დავითფერულის ფლობასა, შენი ქვრივობა ვარჩიე, ნებიერ დედოფლობასა. ვერასვზით გამოგიგლოვე, შენს აქეთ სულ ზამთარია, აკვნითურთ შეგრჩი ფუძეზე, არ გამოვჯარე კარია. ცალუღელ ვლენე კალო და არა გეცრუე, გემართლე, ბოლოს, გაახლე, გვირგვინი, საძვალეს შემოგემატე.

მაია დიაკონიძე

ყვავილს ვგავარ ბრონეულის

ბზობის მაღლით ავსებული ყვავილს ვგავარ ბრონეულის, გულში ღვივის სიყვარული ღვთის შეწვევით მონეული, ყვავილ-ყვავილ, ბურქებ-ბურქებ, ვენახ-ვენახ, ეზო-ეზო, ხელებს გვინვდის მაღლით სავსე, ყველა ქვაზეც მაღლი ძევსო. ბზების სურნელს აყოლილი გული თითქოს ზეობს ცაში, ზნეკეთილი ნაყოფივით ზურმუხტოვან ტოტებს გაშლის, მოლაღურის მოძახილით ხარობს ზეცა, სამოსახლო, ზეანვდილა უფლის ხელი, - ჯვარი უნდა გადმოგვსახოს. ატეხილი ტყე-ჭალები მიელტვიან ღრუბლის ფთილებს და ტაძრები მზენაფერი, სამომავლოს გვეკვრიან იმედს, რომ იესოს მზერა მნათი აგვაცილებს ტკივილს ბედად, ცისარტყელა ფერებს გაშლის, ვერ გაგვტყუავს დრო და სეტყვა. არ ექნება დასასრული სიკეთეს და სიტყვას უფლის, ბზობის მაღლით ავსებული ყვავილს ვგავარ ბრონეულის.

გელუკა ბუილიშვილი

დედამინის ზღაპარი

- მოდი, ჩემო პატარავ, ჩამოჯექი, დედამინის ზღაპარი უნდა გიამბო...

- მერე?
- მერე ღმერთმა ხმელეთს უწოდა მინა და შეგროვილ წყალს - ზღვები.

- მერე, აღმოაცენა მცენარენი, ნაყოფნი და გაჩნდა დედამინა. აიხედა დედამინამ მალლა და დაინახა ზეცა...

- მერე?
- მერე დედამინას შვილები გაუჩნდა. თავდაპირველად ცოტანი იყვნენ.

- მერე?
- მოიცა, ჩემო პატარავ, რატომ მანყვეტინებ? ვაგრძელებ: მერე ის შვილნი გამრავლდნენ...

- მერე?
- მერე როცა იგრძნეს მისი სასიკეთო ძალა, ამასაც აღარ დასჯდნენ.

- მერე?
- მერე მოწმე გახდა საშინელი და სისხლისმღვრელი ბრძოლებისა.

- მერე?
- დაბერდა დედამინა, დაილაღა, დაიქანცა. ხანდახან შეინძრეოდა...

- მერე?
- იცი, ბაბუ? მე ავიყვანდი და ხელისგულზე დავისვამდი დედამინას...

- მერე?
- მერე დედამინა დაიღუპა. დაიღუპა და დაიღუპა. დაიღუპა და დაიღუპა.

- მერე?
- მერე დედამინა დაიღუპა. დაიღუპა და დაიღუპა. დაიღუპა და დაიღუპა.

გერმანე საზანოელი

ამის სსოვნას

მოველ მშობლიურ სახლში, პურს წავატეხე ყუა, კართან მოვიდა მამა, კვლავ მარიგებდა ჭკუას.

ვუცქერ დაღვრემილ სარკმელს და ცვარი მინას ნამავს, იქვე მოხურულ კარებს, თან სადღაც ქრება მამა!

მერე კი მოველ აზრზე და თავი ხელში ამყავს, და მომაგონდა ისევ, მამა წლებია არ მყავს

მელვარე გალაკტიონს


იმ ღრმა ნიჭის სარითმეთში ფოთოლცვენა. ვით ბორკილით გადაცურვა ლამანშის, სიცოცხლეში უიღბლობით, ბოლთის სცემა,

კვლავ რითმებთან რითმობანას თამაშში. წინ სვლისათვის უსასრულო მონდომება, იოლი რომ გვეჩვენება დიადი, დილის ნამის ამ ბრწყინვალე მოგონებას,

ეფერება მოქეიფე წყვდიადიც. მისი ბგერით შაშვამაც ყელი მოიღერა, დო- რე- მი-ფაც მოაქცია ალყაში, თვით დრომაც კი ვერ შეცვალა ეს სიმღერა,

საოცარი მიგნებაა გალაში. ბნელ ოთახში მოფანტული ნანერები, მაგიდაზე ასი გრამი არაყი, იქვე სხედან ფშაველაც და წერეთლებიც,

კვლავ თამადავს პოეზია ამყავს. ახალ მორიგ სადღეგრძელოს აწვდის ხევებს, შაშვის სატრფო მნიფედ-მნიფე კუნელი, ზედ ზომიერ დიდ პოეტურ სითავხედეს, სარკმლის მიღმა იასამნის სურნელით!



შოთა ტოგონიძე — 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი შოთა თადეოზის ძე ტოგონიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა.

ქვირფასო ბატონო შოთა! ჩვენო ძვირფასო კოლეგავ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღვანლმოსილ მხცოვან შემოქმედსა და მამულიშვილს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

1960 წელს გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „ღუელის შემდეგ“. ასე შედგა თქვენი ლიტერატურული დებიუტი და ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ არ შეწყვეტილა თქვენი ღუელი ქართულ სიტყვასთან, ქართულ ლექსთან, ბრძოლა სიკეთისა და სათნოების დასამკვიდრებლად თქვენს საესავ მამულში.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „ბილიკი ცისკენ“, „მრავალძალს არნივები აფრენილან“, „ვჩქარობ მოვასწრო“... ეს კრებულები თქვენი პოეტური ძალმოსილების ანარეკლია. ამ კრებულებში შესული ლექსები ფიქრიანი პოეტის ლექსებია, სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედის სულიერი ღაღადისი, რომელსაც აზრის სიმძაფრე და ემოციურობა წითელ ზოლად მიჰყვება. ტკივილებს ითვლით, მშობელი მიწის ტკივილებს და იმ მალამოსაც გულდაგულ დაეძებთ, ამ ტკივილებს, დარდსა და ვაებას რომ გააყურებდა. დიხაჯ რომ სიცოცხლეზე მეტად უფრთხილდებოდა მშობელი ქვეყნის წარსულს, მის აწმყოსა და განსაკუთრებით კი მომავალს...

რა გასაკვირია, რომ თქვენმა ლექსებმა მეტად საპატიო ადგილი დაიკავა ისეთ პრესტიჟულ ანთოლოგიებში, როგორცაა „შენ ხარ ვენახი“, „ეკლესია-მონასტრები ქართულ პოეზიაში“, „ჩემი ვაჟა“...

არაერთი საბავშვო ლექსის, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილისა თუ პუბლიცისტური სტატიის ავტორი ბრძანდებით. ქართულად თარგმნეთ გამზათ ცადასას, რასულ გამზათოვისა და ლიდია კუჩერენკოს ლექსები.

წლების განმავლობაში მუშაობდით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად საშუალო სკოლებში და მოსწავლეებს ქართული სიტყვის მადლსა და მიროს აზიარებდით; იყავით გაზეთ „სახალხო განათლების“ კორესპონდენტი, საქ-ენერგოს სასწავლო ცენტრის მეთოდისტი და სწავლული მდივანი...

თქვენი მრავალწლიანი ღვანლი სწორუ-პოვარი ვაჟა-ფშაველას პრემიით აღინიშნა. 2014 წელს დაჯილდოვდით წმინდა ნინოს ფესტივალის დიპლომითა და წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონით.

ბატონო შოთა! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ივეტა პავლიაშვილი — 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი ივეტა ალექსის ასული პავლიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა.

ჩვენო საყვარელო ქალბატონო ივეტა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ, სათნოებითა და კეთილშობილებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

დიხა, ექვსი ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო, სამშობლო ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული შემოქმედებითი საქმიანობა. 1960 წელს გაზეთ „ნორჩი ლენინელი“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ბურთი და დედამინა“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, მოთხრობები, ნოველები, ლირიკული ჩანახატები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მუდამ ხალისით ეცნობა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „სიცოცხლის ფასი“, „რეკენ ზარები“, „გაზაფხულთან ერთად“. ეს კრებულები ხომ თქვენი კრიალა, შეუბღალავი, გაუზზარავი სულის ანარეკლია და ამიტომაცაა, მათი ლირიკული გმირი ასე ძალიან რომ გგავთ თქვენ, დიდებულ ქართველ ბანოვანთა ღირსეულ შთამომავალს, რომელსაც გული ეკუმშება იმის შემხედვარეს, თუ როგორ ესერიან ტალახს სულგაყიდული ქართველები ჩვენს მაცხოვარს, ჩვენს რწმენასა და რჯულს, ის კი არ იციან, რომ ვინც მზეს ტალახს ესვრის, ის ტალახი თავად მას დაუბრუნდება და არარად აქცევს. ღვთისმშობლის ცრემლი მისთვის უწმინდესი მირონია, რომელსაც მოფრთხილება და სულის ბერვა სჭირდება, რათა არაკაცების საჯიჯგნი არ გახდეს. მზადაა თუნდაც თოვლის ფანტელად იქცეს და ღვთაებრივ ქროლვაში ზეციურ თალებს შეახოს ხელი, რათა იმ სინმინდისა და სიანკარის მადლი გადმოვიდეს მასში, რამაც აქამომდე მოიყვანა მისი სათაყვანებელი, საესავი სამშობლო...

თქვენი მოთხრობები თუ ჩანახატები რომლებმაც დაივანა კრებულ „დროის მატარებელში“, პოეტური პროზის ნიმუშებს წარმოადგენს.

ქართველი ბავშვები მუდამ ცხოველი ინტერესით ეცნობიან თქვენს საყმაწვილო პოეტურ თუ პროზაულ კრებულებს („ავახ-მიანე ბავშვთა სამყარო“, „თქვენთვის ვგალობ“, „მტრედის წყარო“).

თანაავტორი ხართ წიგნისა „მონათხრობანი ქართული ძველსიტყუობისანი“...

თქვენი მრავალწლიანი ლიტერატურული საქმიანობა იაკობ ცურტაველისა და მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო დიპლომით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ქრისტინაული პოეზიის ფესტივალის წმინდა ნინოს ჯვარი და ენდალმა, „თამარიონის“ ენდალმა.

ჩვენო ივეტა! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამოკალმეს, კეთილშობილებისა და სათნოების განსახიერებას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ნომადი ბართაია

ქრისტიანულ სამყაროში მოხდა უპრეცედენტო რამ - მინიერი არსება - XII საუკუნის ქართველთა მეფე თამარი - მისი სამი ისტორიკოსიდან ერთ-ერთის - ჟამთააღმწერლის მიერ, განცხადებულ იქნა ზეციურ არსებად - ღვთის მეოთხე პიპოსთასად და მას მამის, ძისა და სულიწმინდის გვერდით მიეჩინა ადგილი: „მეცა ესრეთ ვინყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამეხისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ხელმწიფეთა შორის“ („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 2, გვ. 3, თბ., 1959).

გასაგებია, რომ თამარი უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, რაზეც ნათლად მეტყველებს თუნდაც ის, რომ საქართველოში დღემდე ლამის ყოველი მეორე ქალი, სალოცავი, ხიდი თუ წყარო, მის სახელს ატარებს.

მაშინ, როცა ქალს არავითარი პოლიტიკური უფლება არ გააჩნდა, ქალის გამეფებამ და შემდეგ მისმა დიდმა საქვეყნო და ჰუმანურმა ქმედებებმა, რომლითაც მან გაუსწრო კიდეც ეპოქას, სიცოცხლეშივე შარავანდედით შემოსა მისი სახელი. იქმნებოდა მასზე ლეგენდები, უძღვნიდნენ ლექსებს და უმღეროდნენ მას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ შორეულ ქვეყნებშიც.

და მაინც უცნაურად გამოიყურება ის, რომ ვინმეს მინიერი არსებისთვის უფლის გვერდით მიეჩინა ადგილი.

რა მოვლენასთან უნდა გვეკონდეს საქმე?

რაც არ უნდა ქართული მესიანური იდეა დავინახოთ თამარის ისტორიკოსის ამ სიტყვებში, ვფიქრობთ, მაინც ანგარიშგასანეცია მაშინდელ მახლობელმოსავლეთში გაბატონებული სპარსულენოვანი სახობო პოეზიის მხატვრული აზროვნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

მახლობელ აღმოსავლეთში ამ დროს სალიტერატურო ენად გაბატონებული იყო სპარსული. დიდა ამ დროის სპარსული მწერლობის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე. სწორედ მაშინ შემოვიდა ჩვენში სპარსული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი უკვდავი ნიმუშები, როგორებიცაა: „ვისრამიანი“ (რომანტიკული), „შაჰნამე“ (საგმირო), „ქილილა და დამანა“ (დიდაქტიკური)...

საქვო არ უნდა იყოს ის, რომ მე-12 საუკუნეში გვექნებოდა დიდი ქართული სახობო პოეზია, რის დასტურადაც ის ფრაგმენტებიც დალადებენ, რომელიც „თამარიანისა“ და „აბდულმესიანის“ სახით არის მოღწეული დღემდე.

არას ვაძობთ იმ სპარსულ ეპიკურ ტილოებზე, რომლებაც ასევე ვერ მოაღწიეს ჩვენამდე, მაგალითად, ოსოროისა (XI) და ნიზამი განჯელის (XII) პოემებმა, რომელთა ქართული თარგმანების არსებობა, სხვადასხვა წყაროებით, ქართულ მწერლობაში ეჭვს არ იწვევს (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, გვ. 292-293, თბ., 1981).

და აი, ამ დროს, ჩვენი ვარაუდით, შეუძლებელია, მახლობელი არ ყოფილიყო ჩვენთვის ის დიდი სპარსული სახობო პოეზია, რომელიც უკვე განვითარების მწვერვალს იყო მიღწეული და სწორედ რომლისთვისაც არის და-

მახასიათებელი მაღალფარდოვანი გაზვიადებული მხატვრულ-მეტაფორული აზროვნება, სადაც, მაგალითად, მეფე უფლის აჩრდილად („ზელ-ე ხოდა“) არის წარმოდგენილი დედამიწაზე.

დიახ, დედამიწაზე და არა ცაზე, რადგან ისლამის მიხედვით ალაჰი ერთადერთია.

რადგან XII საუკუნის სპარსულენოვანი სახობო პოეზია ვახსენეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაკვირვით, მის სტილურ თავისებურებასაც შევეხოთ.

სპარსულ ლიტერატურაში არის სამი მთავარი სტილი, სამი მშვენიერება სპარსული მწერლობისა: ხორასნული (IX-XI სს.), ერაყული (XII-XVII სს.) და ინდური (XVI-XVIII სს.).

თამარ მეფის განღმრთობასთან დაკავშირებით

რადგან თამარის პოქა სპარსული ლიტერატურის ხორასნულ სტილს ემთხვევა, ორიოდე სიტყვით, მასზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ხორასნული სტილი იყოფა სამ ეტაპად: სამანიდური, ლაზნევიდური და სელჩუკური, რომელთა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

I სამანიდურისთვის (X ს.): ენობრივი სისადავე, სინამდვილის რეალურად აღქმა...

II ლაზნევიდურისთვის (962-1040 წწ): რთული ენობრივი პოეტური მეტყველებისკენ მიდრეკილება...

III სელჩუკურისთვის (XI-XIII სს.) ენის რთული, მაღალფარდოვანი კონსტრუქციებით დამძიმება და რელიგიური თემატიკის გაძლიერება... (ნ. ბართაია, სამი სტილი, ანუ სამი მშვენიერება სპარსული მწერლობისა, ჟურნ. „მნათობი“, გვ. 124-129, თბ., 2002).

თამარის ისტორიკოსი, ჩამოთვლილთაგან, ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობას სორედ ამ უკანასკნელთან ავლენს, რომელიც ამ დროს გაბატონებული იყო მახლობელ აღმოსავლეთში.

უფრო ნათლად რომ გამოიკვეთოს თამარის ისტორიკოსის ხელწერა, შევადაროთ იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხრობას.

ამონარიდით ლევან ბრეგაძის წერილიდან:

„სხვა ადგილას ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფე გამუდმებით ლაშქარს იყო, სწრაფად იცვლიდა ადგილსამყოფელს, ამიტომ მასთან, როგორც უზენაეს მოსამართლესთან, შეხვედრა უჭირდათ „მოჩივართ, დაჭირვებულთ და მიმძღვრებულთ“, ანუ მათ, ვინც მისგან სამართალს ელოდა. როცა გაიგებდნენ, ამა და ამ ადგილას უნდა გაიაროსო, მისგან მეფობრივი განკითხვისა და შეწვევის მომლოდინენი მისი ყურადღების მისაქცევად „აღვიდის ბორცუსა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე“.

ეს ის ზაქეა, რომელზედაც სახარებაშია საუბარი (ლ. 19, 1-10), ტანმორჩილი უფროსი მეზვერეთა, რომელიც ხეზე ავიდა, რათა უკეთ დაენახა ქრისტე.

როცა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებას კითხულობთ, ატყობთ, რომ ეს კაცი დავითს

აღმერთებს, მას მეფე ქართველთა განმაახლებლად, მსხნელად, მესიად მიაჩნია, აქილევსი და ალექსანდრე მაკედონელი მასთან ვერ მოვლენო, წერს. გრძნობთ, ერთი სული აქვს, ქრისტე ღმერთს შეადაროს ხელმწიფე, მაგრამ ამას არ აკეთებს - მოკვდავის, თანაც საერო პირის, თუნდაც იგი დავით აღმაშენებელი იყოს, მაცხოვრისთვის შედარება მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ იმას ვინ დაუშლის, დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ქრისტეს სანახავად ხეზე ასულ ზაქეს შეადაროს? ქვეტექსტი ნათელია: თუ დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ზაქეს ჰგავს, მაშინ დავითი იმას ჰგავს, ვის სანახავადაც ზაქე ხეზე ავიდა! ქვეტექსტის საშუალებით

სასურველი აზრი ისე მიენოდა მკითხველს, რომ ეტიკეტი არ დარღვეულა. სხვა ფუნქცია ამ შედარებას არა აქვს“ (ლ. ბრეგაძე, „სიტყვა ძველი, სიტყვა ახალი“, გვ. 236-237, თბ., 1988).

დიახ, განსხვავებით თამარის ისტორიკოსისგან, დავითის ისტორიკოსს, როგორც ლევან ბრეგაძე წერს, „ერთი სული აქვს, ქრისტე ღმერთს შეადაროს ხელმწიფე, მაგრამ ამას არ აკეთებს - მოკვდავის, თანაც საერო პირის, თუნდაც იგი დავით აღმაშენებელი იყოს, მაცხოვრისთვის შედარება მკრეხელობა იქნებოდა. მაგრამ იმას ვინ დაუშლის, დავითის სანახავად ხეზე ასული ხალხი ქრისტეს სანახავად ხეზე ასულ ზაქეს შეადაროს?“

ამგვარად, დავითისა და თამარის ისტორიკოსები, თავიანთ მემეფთა მიმართ, ეტიკეტს არ არღვევენ.

მოდით, დავსვათ ასეთი კითხვა: დავითისა და თამარისთვის რომ შეგვენაცვლებინა ადგილები, დარღვევდა თუ არა მათ მიმართ იმდროინდელი ეტიკეტი?

ალბათ, არა, დავითს მიენერებოდა ის, რაც თამარს და პირიქით - თამარს ის, რაც დავითს და ძნელი მისახედრი არ არის, ვინ გახდებოდა ღვთის მეოთხე პიპოსთასი.

ცნობილია, რომ ისტორიულად მეფე, სხვადასხვა ხალხებსა და ეპოქებში თუ როგორ იყო აღქმული, როგორც ღმერთთან გატოლებული არსება, ამაზე საუბარი შორს წავიყვანდა. მხოლოდ ვიტყვით იმას, რომ გადმოცემის მიხედვით, ჯერ კიდევ ეგვიპტის პირველი ფარაონი თვით ღმერთი „რა“ იყო, ხოლო შემდგომი ფარაონები კი განკაცებულ ღმერთებად ითვლებოდნენ.

უფრო აქეთ, 332 წელს კი ალექსანდრე მაკედონელი იქნა აღიარებული ეგვიპტის ფარაონად, ანუ დედამიწაზე განკაცებულ ღმერთად.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ კონკრეტული პირითა და ეპოქით ვიფარგლებით, სადაც ქების ობიექტის განმღრთობაში, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ვარაუდით, სახობო პოეზიასაც უნდა მოეხდინა გარკვეული გავლენა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თუმცა ჟამთააღმწერლის მიერ თამარის განმღრთობას ოფიციალური აღიარება არ მოჰყოლია, ქართველი ხალხის ხსოვნაში იგი მაინც ღვთიური შარავანდედი არის შემოსილი.

ჯემალ იბერიელი

\*\*\*

გზები ნიკოფსიიდან დარუბანდის კარამდის, სისხლით იწერებოდა ლექსი გმირთა ვარამის.

ამ მიწაზე იბრძოდა გმირთა მთელი პლეადა, ცეცხლად ენთო უქრობი ქართული ილიადა.

დროს ელიან სამნები ძველ დიდებით სავალი აიეტი, ვახტანგი, დავითი და თამარი.

საუნჯეა უჭკნობი, თვალწარმტაცი ედემი, ქართულ გენის სისხლში დულს კირი ტროას კედელის.

ქედი კავკასიონის ქედს არ იხრის მეფურად, ომი ერთხელ დაიწყო და არ დამთავრებულა.

უკვდავების ფესვზე დგას საუკუნო მისია, ლეგენდაა ღვთიური ქართული ოდისეა.

\*\*\*

გზები სველია ზეცის ცრემლებით, გზები, რომლებიც ჩემკენ მოდიან, აუტყორცნია ცეცხლის ენები ბრონეულებს და უცხო ორგიას.

ირგვლივ ნისლი წევს ცამდე ასული, იმღვრევა თითქოს კუპრი და დილა და მახსენდება ფიქრით წარსულის შავი ვარდები, ლურჯი გვირილა.

ქარის შრიალი სმენას იტაცებს, ამ გზით ყველაფერს შფოთი ჰქონია, შენ ბედისწერავ, თავად ხარ მაცნე, შენ შეგიქმნია ეს სიმფონია.


\*\*\*

სავანეა ვაზის ფოთლის ფერი, მოქარგული, ვით ლობეზე სვია, სურნელს აკმევს სითხე მშვენიერი, ჩვენებურად მუხამწვანე ჰქვია.

ასვენია ძველებური თუნგი, ფისროსმანის ლომი იშლის ფაფარს, სურათზე ჩანს არწივების გუნდი, ჟამი ისევ ეძებს ამილახვარს.

რა ხიბლია ეს ქვეყანა ჩემი, მატთანე როგორ ნაზად ქარგავს, ამ პლანეტას ქართველობა შევინს, ბიბლიურად მას შემცვლელი არ ჰყავს.

სავანეა ვაზის ფოთლის ფერი, მოქარგული, ვით ლობეზე სვია, სურნელს აკმევს სითხე მშვენიერი, ჩვენებურად მუხამწვანე ჰქვია.



დავით ნახიძე

რევაზ მიშველაძემ 80 წლის ასაკში დაწერა რომანი „ჩრისე“...

სოსო სიგუამ განასრულა „ქართული კულტურის ისტორიის“...

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, ქართულმა კულტურამ...

გარდაიცვალა თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდებული წარმომადგენელი...

დავით წერეთელი დაიბადა 1937 წლის 19 აგვისტოს აბაშის რაიონის სოფელ ჯოლობანში...

თუმცა, ქართველი მკითხველისთვის იგი, უპირველეს ყოვლისა...

ვისაც კი ნილად ხვდომია ბედნიერება, დავით წერეთლის ერთადერთი პოეტური კრებულის „ორიონის“...

ზიის მსახურებას? თუმცა დავით წერეთლის უბრწყინვალესი თარგმანების გაცნობის შემდეგ...

დავით წერეთლის თარგმანები ხომ XX—XXI საუკუნეების ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად იქცა...

დავით წერეთლის კალამს ეკუთვნოდა კრიტიკულ-ესეისტური კრებული „ანარეკლი“...

დავით წერეთლის მრავალწლიანი მწერლური რუდუნება და ღვაწლი ქართული პოეზიის მწვერვალის...

დავით წერეთელი დიდი ქართველი შემოქმედია, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობა...

საქართველოს მწერალთა კავშირი

Three boxes containing information about the Georgian Writers' Union and its members, including names like Manana Avilishvili and Ilguzha Giorgashvili.



ნანა შაბათაშვილ-დავარის გახსენება

მიმდინარე წლის 12 იანვარს ისრაელში, ქალაქ ბათიამში გაიმართა ცნობილი ქართველი ებრაელი პოეტის ნანა შაბათაშვილ-დავარის ხსოვნის საღამო...

ლონისძიებამ მომზადებული იყო ქართულ-ებრაული საქველმოქმედო ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ ინიციატივით...

საღამოს უძღვებოდა „გულთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი ქართველი ებრაელი მწერალი ნუგზარ ჯანაშვილი.

ლონისძიებაზე მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან მიწვეული იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი ბალათერ არაბული...

საღამოზე ნაჩვენები იქნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ნანა

შაბათაშვილ-დავარზე, მის შემოქმედებაზე, რომელიც, ძირითადად, ორი მოძმე ერის - ქართველების და ებრაელების მეგობრობას...

ლონისძიებამ გულთბილ და სევდანარევ ვითარებაში ჩაიარა და ერთხელ კიდევ წარმოაჩინა ქართველების და ებრაელების 26 საუკუნოვანი ურთიერთობის სიყვარული.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრესცენტრი

ქართველობა ბედისწერა

რევაზ მიშველაძეს

ქართველობა ბედისწერა, რევაზ ბატონო... ა სე ჰქადაგებთ მჭერმეტყველურ ენით ღვთიურით,

რ ა საოცარი მამული გვაქვს საიადონო, თ ვალშეუდგამი მთა-ველებით ჯაკვასიურით!..

ვ ერ იტვედაო დალოცვილი დიდ მთავარსარდლებს, ერისკაცებიც ჩვენ რომ გვყავდა იმდენი უნდა,

ლოცვა-კურთხევა ზეციური ამ მიწას თან დევს, ო რომტრიალში იმედებიც ზოგჯერ გაცუდდა!..

ბ ატონო რევაზ, ამ ასაკში სულით ჭარმაგო, არ მოგკლებოდეთ მოსაყრდენ-საამხანაგო!

ბ უნების ძალამ გინინამძღვროთ, რევაზ ბატონო, ერისშვილობით ერს აუნთე წმინდა სანთელი, დ ედულ-მამულის მარგო შვილო, სიტყვის პატრონო,

ი უმორჰანგით დაამშვიდე მოძმე ქართველი!.. ს ასწაულების ზღვაში ვართ, თუმც არ მივდევთ მითებს,

წ უთისოფელში სული გვინდა ერთობ ჯანმრთელი, ე ნამოსწრებულ სიტყვათქმებით იურვებ კირთებს,

რ ა მარგი თქმაა - ბედისწერა ამ მიწაზე იყო ქართველი! არსთაგამრიგემ დაგიღვინოსთ ნესი და რიგი, არ ბერდებო - ღვნოსავით ძველდება იგი!

დავით რობაქიძე

